ალესანდრო ბარიკო

ეს ტექსტი მსახიობ ეუჯენიო ალეგრისა და რეჟისორ გაბრიელე ვაჩისისთვის დავწერე. მათ სპექტაკლი დადგეს, რომლის დებიუტიც ამ წლის ივლისში ასტის ფესტივალზე შედგა. არ ვიცი, კმარა თუ არა ეს იმის სათქმელად, რომ თეატრალური ტექსტი დავწერე. მაგრამ ვეჭვობ კი. ახლა, როცა მას წიგნის სახით ვხედავ, ნამდვილ სცენიურ განსახიერებასა და ხმამაღლა წასაკითხ მოთხრობას შორის რაღაც შუალედურს უფრო წაგავს. არა მგონია, ამ ტიპის ტექსტებისათვის სახელი არსებობდეს. თუმცა, მნიშვნელობა არა აქვს. ჩემთვის ერთი ლამაზი ამბავია, რომლის მოყოლაც ღირდა.

და მსიამოვნებს ფიქრი, რომ მას ვინმე წაიკითხავს.

ა. ბ.

სექტემბერი 1994

ბარბარას

ნოვეჩენტო

მონოლოგი

ყოველთვის ისე ხდებოდა ხოლმე, რომ ვინმე თავს აიღებდა და... დაინახავდა. ძნელი გასაგებია. მინდა გითხრათ... ათასზე მეტნი ვიყავით იმ გემზე. მდიდარი მოგზაურები, ემიგრანტები, უცნაური ადამიანები, და ჩვენ... და მაინც, რომელიმე ერთი იყო ყოველთვის, ერთადერთი, ვინც პირველი დაინახავდა ხოლმე... იჭნებ სულ შემთხვევით იდგა იქ, ჭამდა, ან სეირნობდა, უბრალოდ, გემბანზე... ან ისე იდგა, შარვალს ისწორებდა... წამით აიხედავდა, ზღვას გახედავდა და.... დაინახავდა. ადგილს მიელურსმებოდა, გული აუბაგუნდებოდა, და ყოველთვის, გეფიცებით ყოველთვის, ჩვენსკენ, გემისკენ, დანარჩენებისკენ, მოტრიალდებოდა და ყვიროდა *(ჩუმად და ნელა)*: ამერიკა. მერე ადგილზე ქვავდებოდა, თითქოს ფოტოზე უნდა აღბეჭდილიყო, იმ ადამიანის გამომეტყველებით, რომელმაც თავად შექმნა ის, ამერიკა. სალამობით, სამუშაოს შემდეგ, ან კვირაობით, კალატოზ ცოლისძმას წაიხმარებდა ხოლმე, კარგი კაცი იყო... იქამდე რაღაც ცუდიც ჰქონდა მასზე გუნებაში, მაგრამ მერე წაიხმარა და... გააკეთა, ამერიკა....

ის, ვინც პირველი ხედავს ამერიკას... ყოველ გემზე ერთია ასეთი. და არ იფიქროთ, შემთხვევით ხდებოდეს, არა... არც მხედველობის ამბავია, ბედისწერაა ეგ. ამ ადამიანებს ყოველთვის ამოტვიფრული ჰქონდათ ბედზე ის წამი. ბავშვობაშივე, თვალებში რომ ჩაგეხედა მათთვის, და კარგად დაკვირვებოდი, მაშინვე დაინახავდი მას, ამერიკას, უკვე მზად იყო გამოსასხლტომად, ნერვებსა და სისხლს დაღმა დასაყოლად, რა ვიცი კიდევ, ტვინამდე, და იქ, ენიდან, იმ დაყვირებამდე *(ყვირილით)*, ამერიკა, უკვე იყო, იმ თვალებში, ბავშვის თვალებში, მთლიანად, ამერიკა.

იქ იყო, და იცდიდა.

ეს დენი ბუდმენ ტ.დ. ლემონ ნოვეჩენტომ მასწავლა, ყველაზე დიდმა პიანისტმა, ვისაც კი ოდესმე დაუკრავს ოკეანეზე. ადამიანების თვალებში ის ჩანს, რასაც ნახავენ, და არა ის, რაც ნახესო. ასე ამბობდა: ის, რასაც ნახავენო.

მე იმდენი მინახავს, ამერიკები... ექვსი წელი იმ გემზე, წელიწადში ხუთი, ექვსი მგზავრობა, ევროპიდან ამერიკისკენ და უკან, სულ ოკეანის მისადგომთან, მიწაზე რომ ჩამოდიოდი, ჩეჩმაში სწორად ველარც აფსამდი. ის კი იდგა სწორად, მაგრამ შენ განაგრძობდი ქანაობას. რადგან გემიდან შეიძლება ჩახვიდე, მაგრამ ოკეანიდან.... რომ ავედი, ჩვიდმეტის ვიყავი. და ერთადერთი რამ მადარდებდა ცხოვრებაში: საყვირზე დაკვრა. ასე რომ, ხმა რომ გავრცელდა, პორტში ორთქლის გემის - *Virginian*-ისთვის ხალხს ეძებენო, რიგში ჩავდექი. მე და საყვირი. 1927-ის იანვარი. უკვე გვყავს დამკვრელები, მითხრა ტიპმა კომპანიიდან. ვიცი, ვუთხარი, და დაკვრა დავიწყე. იჯდა და მიყურებდა, ისე რომ კუნთი არ შერხევია. უსიტყვოდ დამელოდა, სანამ დავამთავრებდი. მერე მკითხა:

"რა იყო ეს?"

"არ ვიცი."

თვალები გაუბრწყინდა.

"როცა არ იცი რა არის, ჯაზია."

მერე რაღაც უცნაური რამ გააკეთა პირით. ალბათ ღიმილი იყო, ოქროს კბილი ჰქონდა ზუსტად აქ, ცენტრში, თითქოს ვიტრინაში გამოედო გასაყიდად.

"გიყდებიან მაგ მუსიკისთვის, იქ."

იქ ნიშნავდა გემზე. ის ღიმილისმაგვარი კი ნიშნავდა, რომ ამიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეში სამჯერ, ოთხჯერ ვუკრავდით. ჯერ მდიდრებისთვის პირველი კლასიდან, მერე მეორე კლასში, შიგადაშიგ იმ უბადრუკ ემიგრანტებთან გადავდიოდით და მათთვის ვუკრავდით, მაგრამ ფორმის გარეშე, ისე, როგორც გამოგვდიოდა, ხანდახან ისინიც უკრავდნენ ჩვენთან ერთად. ვუკრავდით, იმიტომ რომ ოკეანე დიდია, და საშიში, ვუკრავდით, რომ ხალხს დროის გავლა ვერ ეგრძნო, და დავიწყებოდა სად იყო, ვინ იყო. ვუკრავდით, რომ გვეცეკვებინა, რადგან თუ ცეკვავ, არ მოკვდები, და თავს ღმერთად გრძნობ. და რეგთაიმს ვუკრავდით, იმიტომ რომ ამ მუსიკაზე ღმერთი ცეკვავს, როცა მას ვერავინ ხედავს.

რომელზეც ღმერთი ცეკვავდა, ოღონდ თუ ზანგი იყო. ძეხვეულს ვინახავთ ხოლმე, ეს სამზარეულოს არარსებობის გამო, რასაც, სხვათაშორის ამ გემზე ნამდვილი მზარეულის არარსებობას აბრალებენ, როგორიც უეჭველად გახლდათ მონსიორ პარდენი, სასწრაფოდ უკან გაბრუნებული პარიზში, საიდანაც პირდაპირ გახლდათ წამოსული, იმ იმედით რომ ამ გემზე სამზარეულო დახვდებოდა, რომელიც, ფაქტებს რომ ვუერთგულო, არ გვაქვს გემის დამპროექტებლის, მსოფლიოში ცნობილი, ღირსეული ინჟინერის - კამილერის ხუმარა გულმავიწყობის წყალობით, რომელსაც გთხოვთ მიუძღვნათ თქვენი მხურვალე აპლოდისმენტებიიიიიიი...

(ბენდი პირველ პლანზე)

(მსახიობი გადის სცენიდან. ყლერს დიქსი, მხიარული და პრინციპში იდიოტური. მსახიობი ბრუნდება სცენაზე ელეგანტურ, გემის ჯაზმენის ტანსაცმელში. ამ მომენტიდან ისე იქცევა, თითქოს ჯაზბენდი ფიზიკურად სცენაზე იყოს.)

ლედიზ ენდ ჯენტლმენ, მაინე დამენ უნდ ჰერრენ, სინიორე ე სინიორი... მედამ ე მესიე, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამ გემზე, ამ მოტივტივე ქალაქზე, რომელიც ყველაფრით *ტიტანიკს* ჰგავს, მშვიდად, ისხედით, ეგერ ბატონმა უკვე ხელი წაივლო ერთ ადგილას, მშვენივრად დავინახე, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ოკეანეზე, მართლა, რას აკეთებთ აქ?, თავს დავდებ, მევალეებმა შემოგტიეს, ან ოცდაათიოდე წლით დაგაგვიანდათ ოქროს საძებლად, ან გემის ნახვა გინდოდათ და ველარ შენიშნეთ, რომ გავიდა, წამით გახვედით სიგარეტის საყიდლად, ახლა თქვენი ცოლი პოლიციაშია და უყვება, კარგი კაცი იყო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, ოცდაათი წლის მანძილზე ერთხელაც არ გვიჩხუბია... მოკლედ, რა ჯანდაბას აკეთებთ აქ, სამას მილზე ნებისმიერი უნაბიჯვრესი სამყაროსგან და ორი წუთის მანძილზე მორიგი გულისრევისგან? პარდონ მადამ, ვხუმრობდი, მენდეთ, ეს გემი ისე მიდის ოკეანეზე, როგორც ბილიარდის ბურთი, ტაკ, კიდევ ათი დღე, ორი საათი და ორმოცდაშვიდი წუთი და პლოპ, ნახვრეტში, New Yoooooooork!

(ბენდი პირველ პლანზე)

არა მგონია საჭირო იყოს აგიხსნათ, რომ მრავალი თვალსაზრისით ეს გემი განსაკუთრებულია და პრინციპში, ერთადერთი. კაპიტანი სმიტის, ცნობილი კლაუსტროფობისა და ბრძენკაცის (უეჭველად შემნეული გექნებათ, რომ სამაშველო ნავში ცხოვრობს) მეთაურობით თქვენთვის მუშაობს პრაქტიკულად ერთადერთი, სრულიად განუმეორებელი პროფესიონალებისაგან შემდგარი პერსონალი: პოლ სიზინსკი, მესაჭე, პოლონელი ექს ეპისკოპოსი, მგრძნობიარე, ექსტრასენსი, სამწუხაროდ, ბრმა... ბილ იუნგი, ტელეგრაფისტი, დიდი მოჭადრაკე, ცაცია, ენაბლუ... გემის ექიმი, დოქტორ კლაუსერმანშპიცვეგენსდორფენტაგი, დაგერხათ, თუ სასწრაფოდ გინდათ დაუძახოთ...., მაგრამ განსაკუთრებით:

მესიე პარდენ,

შეფი,

პირდაპირ პარიზიდან წარმომავალი, სადაც, სხვათაშორის, მაშინვე დაბრუნდა, როცა პირადად დარწმუნდა ერთ საინტერესო გარემოებაში, რომ ამ გემს სამზარეულო არ გააჩნია, რაც, ამდილას, სხვებთან ერთად, მახვილგონივრულად შენიშნა მონსიორ კამემბერმა 12-ე კაიუტიდან, რომელმაც დღეს დაიჩივლა, რომ პირსაბანი მაინეზით სავსე დახვედრია, გასაკვირი ამბავია, პირსაბანებში ძირითადად

მერწმუნეთ, ასეთ გემს ვერსად იპოვით, ალბათ, თუ წლობით ეძებთ, მონახავთ კლაუსტროფობ კაპიტანს, ბრმა მესაჭეს, ენაბლუ ტელეგრაფისტს, გამოუთქმელსახელიან ექიმს, ყველას ერთ გემზე, რომელსაც სამზარეულო არ გააჩნია, შეიძლება. მაგრამ ის, რაც, შეგიძლიათ დაიფიცოთ, აღარასოდეს შეგხვდებათ, გახლავთ საჯდომქვეშ ათი სანტიმეტრი საკარძელი და ასობით მეტრი წყალი, და ოკეანეში, ყურებში სასწაული, ფეხებში რიტმი და გულში ბგერა, ანუ ერთადერთი, განუმეორებელი, და უსასრულო ATLANTIC JAZZ BAAAAAAAAAND !!!!!!!!!!!!!!!!

(ბენდი პირველ პლანზე. მსახიობი წარადგენს დამკვრელებს სათითაოდ. თითოეული სახელს მოკლე სოლო მოყვება)

კლარნეტზე, სემ "სლიიფი" ვაშინგტონ!

ბანჯოზე, ოსკარ დელაგუერა!

საყვირზე, ტიმ ტუნი!

ტრომბონი, ჯიმ ჯიმ ბრეთ გალუპი!

გიტარაზე, სამუელ ჰოკინსი!

და ბოლოს, როიალთან... დენი ბუდმენ ტ.დ. ლემონ ნოვეჩენტო.

უდიდესი.

(მუსიკა უცებ წყდება. მსახიობი ტოვებს კონფერანსიეს ტონს და საუბრით, იხდის მუსიკოსის ფორმას)

მართლა იყო, ყველაზე დიდი.

ჩვენ მუსიკას ვუკრავდით, ის რაღაც სხვა იყო. ის უკრავდა.... არ არსებობდა ის რაღაც, სანამ ის დაუკრავდა. okay?, არსად არ იყო. და ის რომ ადგებოდა როიალიდან, ისევ აღარ იყო... აღარ იყო სამუდამოდ.... დენი ბუდმენ ტ.დ. ლემონ ნოვეჩენტო. ბოლოს რომ ვნახე, ბომბზე ეჯდა. სერიოზულად. ამხელა დინამიტზე ჩამომჯდარიყო. გრძელი ამბავია... ამბობდა: "კაცს საბოლოოდ იქამდე არ გაქვს დარხეული, სანამ ერთი კარგი ამბავი დაგრჩენია მოსაყოლი, და ადამიანი, ვისაც მოუყვები." მას ჰქონდა.... ერთი კარგი ამბავი. თავად იყო თავისი ამბავი. გიჟური, რომ დაფიქრდე, მაგრამ ლამაზი... და იმ დღეს, იმ დინამიტზე ჩამომჯდარმა, მაჩუქა ის. იმიტომ რომ მისი ყველაზე დიდი მეგობარი ვიყავი, მე... სისულელე ბევრი მიკეთებია, და თავქვეც რომ დამკიდონ, ჯიბიდან აღარაფერი გამვარდება, საყვირიც კი გავყიდე, ყველაფერი, მაგრამ.... ის ამბავი, არა.... ის არ დამიკარგავს, გამჭვირვალე და აუხსნელი, როგორიც იყო მუსიკა, როცა მას ოკეანის გულში აყლეურებდა დენი ბუდმენ ტ.დ. ლემონ ნოვეჩენტოს მაგიური პიანინო.

(მსახიობი კულისებს ეფარება. უკრავს ბენდი, ფინალისთვის. როცა უკანასკნელი აკორდიც ქრება, მსახიობი სცენაზე ბრუნდება)

ერთმა მეზღვაურმა იპოვა, სახელად დენი ბუდმენმა. ერთ დილით, ბოსტონში, როცა ყველანი ჩასულები იყვნენ გემიდან, მუყაოს ყუთში ნახა. სულ რაღაც ათი დღის იქნებოდა. არც კი ტიროდა, იყო თავისთვის ჩუმად, თვალღია, იმ ყუთში. პირველი კლასის საცეკვაო დარბაზში დაეტოვებინათ. როიალზე. თუმცა პირველი კლასის ახალშობილს არ ჰგავდა. ასეთ რამეებს ემიგრანტები შვებოდნენ ხოლმე. ჩუმად იმშობიარებდნენ, სადღაც გემბანქვეშ, და მერე ბავშვებს ტოვებდნენ. განა სიბოროტით. სიღატაკე იყო ის, შავი სიღატაკე. ისევე, როგორც ტანსაცმლის ამბავი.... გემზე შემოგლეჯილები ადიოდნენ, ერთადერთი, გაცვეთილი ტანსაცმლით, რაც ებადათ, მაგრამ ვინაიდან ამერიკა მაინც ამერიკა იყო, ბოლოს ყველანი კარგად ჩაცმულები ჩამოდიოდნენ, კაცებს ჰალსტუხიც კი ეკეთათ ხანდახან, ბავშვები ქათქათა პერანგებით.... მოკლედ, იცოდნენ, როგორ ემოქმედათ მგზავრობის იმ ოცი დღის მანძილზე, ჭრიდნენ და კერავდნენ, ბოლოს აღარც ფარდა იყო გემზე, აღარც ზეწარი, აღარაფერი: ახალი ტანსაცმელი შეეკერათ საამერიკოდ. მთელი ოჯახისთვის. ვერც ვერაფერს ეტყოდი...

ხოდა, ხანდახან ბავშვიც გამოერეოდა ხოლმე, რაც ემიგრანტისთვის კიდევ ერთი მშიერი პირი და უამრავი ხათაბალაა საიმიგრაციო სამსახურში. გემზე ტოვებდნენ. შეიძლება ითქვას, ფარდებისა და ზეწრების სანაცვლოდ. იმ ბავშვის შემთხვევაში ნამდვილად ასე უნდა ყოფილიყო. ალბათ განსაჯეს: თუ როიალზე დავტოვებთ, პირველი კლასის საცეკვაო დარბაზში, იქნებ ვინმე მდიდარმა აიყვანოს და მთელი ცხოვრება ბედნიერი იქნებაო. კარგი გეგმა იყო. და სანახევროდ გაჭრა კიდეც. მდიდარი არ გამხდარა, პაგრამ პიანისტი კი გამოვიდა. ყველაზე კარგი, ვფიცავ, ყველაზე კარგი.

მოკლედ. ძველმა ბუდმენმა იქ იპოვა, კარგად მოქეცა, იქნებ ვინაობის შესახებ რაიმე ენახა, მაგრამ ერთადერთი წარწერა ნახა მუყაოს ყუთზე, ლურჯი მელნით დაბეჭდილი. ტ. დ. ლიმონები. რაღაც ნახატისმაგვარიც იყო, ლიმონის გამოსახულება. ისიც ლურჯი. დენი ფილადელფიელი ზანგი იყო, უზარმაზარი, საოცარი შესახედი. ბავშვი ხელში აიტაცა და უთხრა: "Hello Lemon!" და რაღაცამ უფეთქა გულში იმ წამს, რაღაც მამობრივისმაგვარმა გრძნობამ. მთელი ცხოვრება დარწმუნებული იყო მერე, რომ ტ.დ. უსათუოდ ნიშნავდა Thanks Danny. გმადლობ დენი. აბსურდი იყო, მაგრამ მას მართლა სჯეროდა. მისთვის დაეტოვებინათ იქ ის ბავშვი. დარწმუნებული იყო... T.D., Thanks Danny. ერთხელ რაღაც გაზეთი მოუტანეს, რეკლამა იყო შიგ, კაცი იდიოტის სიფათით, latin lover-ივით წვრილულვაშა, გვერდით უშველებელი ლიმონი ეხატა, და წარწერა გვამცნობდა: ტანო დამატო ლიმონების მეფე, ტანო დამატო, სამეფო ლიმონები, და რაღაც ატესტატი თუ პრემია... ტანო დამატო.... ძველ ბუდმენს წარბიც არ შეუხრია. "ვინაა ეს პიდარასტი?" იკითხა. და გამოართვა გაზეთი, რადგან რეკლამის გვერდით დღის შედეგები იყო. კი არ თამაშობდა, ცხენების სახელები მოსწონდა, მეტი არაფერი, გიჟდებოდა, ამბობდა ხოლმე: ერთი ამას მოუსმინე, ამას, გუშინ ირბინა, კლივლენდში, ერთი უსმინე, რა დაურქმევიათ, *ეძიე ბიფათი*, გესმის? გაგონილა ასეთი? და ეს, აგერ? შეხედე, *წინათ ჯობდა*, არ გაგიჟდები?" მოკლედ, მოსწონდა ცხენების სახელები, გიჟდებოდა. ფეხებზე ეკიდა, ვინ მოიგებდა, მხოლოდ სახელები იყო, ასე რომ მოსწონდა.

ბავშვს თავისი სახელი დაარქვა: დენი ბუდმენი. ერთადერთი ამპარტავნება, რაც კი გამოევლინა ცხოვრებაში. მერე დაამატა ტ. დ. ლემონ, ზუსტად ისევე, როგორც მუყაოს ყუთს ეწერა, ამბობდა, დახვეწილიაო სახელის შუაში ასოები. "ყველა ადვოკატს ასე აქვს," კვერი დაუკრა ბერტი ბამმა, მემანქანემ, რომელსაც თავის დროზე ციხეში ამოეყო თავი ერთი ადვოკატის წყალობით, რომელსაც ჯონ ჰ. ტ. კ. უანდერი ერქვა. "ადვოკატი რომ გამოვიდეს, მოვკლავ," დაასკვნა ძველმა ბუდმენმა, მაგრამ მერე ორი ინიციალი მაინც დაუტოვა სახელში, და ასე გამოვიდა დენი ბუდმენ ტ.დ. ლემონ. ლამაზი სახელი იყო. ცოტა კიდევ იმსჯელეს, ხმადაბლა იმეორებდნენ სახელს, ძველი დენი და დანარჩენები, ქვევით, სამანქანოში, ჩამქრალი მოტორით, ბოსტონის პორტში გაჩერებულები. "კარგი სახელია", თქვა ბოლოს ძველმა ბუდმენმა, "მაგრამ რაღაც აკლია. ერთი მაგარი ფინალი უნდა." მართალი იყო. ერთი კარგი ბოლო აკლდა. "სამშაბათი დავამატოთ," უთხრა სემ სტალმა, მიმტანად რომ მუშაობდა. "ხომ სამშაბათს იპოვე, დაარქვი სამშაბათი." დენი ცოტა დაფიქრდა. მერე გაიღიმა. "კარგი იდეაა, სემ. ამ ახალი უნაბიჭვრესი საუკუნის პირველ წელიწადს ვიპოვე, ხომ?: ხოდა ნოვეჩენტოს* დავარქმევ". "ნოვეჩენტო?" "ნოვეჩენტო." კი მაგრამ ეგ ხომ რიცხვია!" "*იყო* რიცხვი: ახლა სახელია." დენი ბუდმენ ტ.დ. ლემონ ნოვეჩენტო. შესანიშნავია. მაგარია. მაგარი სახელია, ღმერთო, მართლა მაგარი სახელია. ასეთი სახელით შორს წავა. მუყაოს ყუთში ჩაიხედეს. დენი ბუდმენ ტ.დ. ლემონ ნოვეჩენტომ შეხედა და გაუღიმა: გაშრნენ. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთ პატარა ბავშვს ამდენი შეეძლო ჩაესვარა.

დენი ბუდმენმა კიდევ რვა წელი, ორი თვე და თერთმეტი დღე იმუშავა მეზღვაურად. მერე ერთ დღეს, ღელვისას, შუაგულ ოკეანეში, გაგიჟებული ამწე დაეძგერა ზურგში. სამი დღე კვდებოდა. შიგნიდან იყო ჩამსხვრეული, აღარაფერი ეშველებოდა. ნოვეჩენტო ბავშვი იყო მაშინ. საწოლთან ჩამოუჯდა დენის და ადგილიდან არ დაძრულა. ძველი გაზეთების მთა ედო გვერდით და, სამი დღის განმავლობაში, საშინელი ტანჯვის ფასად უკითხავდა მომაკვდავ ძველ დენის დღეების შედეგებს. ასო-ასო კითხულობდა, როგორც დენიმ ასწავლა, გაზეთის ქაღალდზე თითმიჭერილი, თვალს არ აშორებდა ნაწერს. ნელა, მაგრამ მაინც კითხულობდა. ასე მოკვდა ძველი დენი ჩიკაგოს მეექვსე გარბენზე, რომელიც *სასმელმა წყალმა* ორი ქულით მოუგო *წვნიანს* და ხუთით – *ლურჯ პუდრას*. ვერაფრით იკავებდა სიცილს ამ სახელებზე, სიცილში მოკვდა. ტილოში გაახვიეს და ოკეანეს დაუბრუნეს. ტილოზე კაპიტანმა წითელი საღებავით დააწერა: Thanks Danny.

ასე, უცბად, მეორედ დაობლდა ნოვეჩენტო. რვა წლის იყო და ევროპიდან ამერიკამდე და უკან ორმოცდაათიოდე ჯერ ჰქონდა გადასერილი ოკეანე. ოკეანე მისი სახლი იყო. მიწაზე კი ფეხი არასოდეს დაედგა. ნანახი ჰქონდა, პორტებიდან, ცხადია. ჩასვლით არასოდეს ჩასულიყო. დენის სულ ეშინოდა, არ წაერთმიათ, საბუთების, ვიზების ან რაიმე სხვა მიზეზით, ასე რჩებოდა ნოვეჩენტო გემზე, მერე კი გადიოდნენ კიდეც. ზუსტად რომ ვთქვათ, ნოვეჩენტო არც არსებობდა სამყაროსათვის: არ იყო ქალაქი, ეკლესია, საავადმყოფო, ციხე, ბეისბოლის გუნდი, რომელშიც მისი სახელი იქნებოდა გატარებული. არ ჰქონდა სამშობლო, დაბადების თარიღი, ოჯახი. რვა წლის იყო: მაგრამ ოფიციალურად არ იყო დაბადებული.

"ეს ამბავი დიდხანს ვერ გაგრძელდება", ეუბნებოდნენ ხოლმე დენის. "ყველაფერს რომ თავი დაანებო, კანონის საწინააღმდეგოა." დენის ამაზე შეუვალი პასუხი ჰქონდა: "გავკარი კანონს" ამბობდა. ამისთანა სტარტის მერე დიდად კი ვერ შეეკამათებოდი.

საუთემპტონში რომ ჩავიდნენ, იმ მგზავრობის შემდეგ, რომელშიც დენი მოკვდა, კაპიტანმა გადაწყვიტა, რომ დრო იყო, ბოლო მოღებოდა ამ თამაშს. პორტის ხელმძღვანელობა გამოიძახა და თანაშემწე ნოვეჩენტოს მოსაყვანად გაგზავნა. ვერსად იპოვეს. მთელი გემი დაჩხრიკეს, ორი დღე ეძებდნენ. არაფერი. გამქრალიყო. ვერავინ ინელებდა ამ ამბავს, იქ, *Virginian*-ზე, მიჩვეულები იყვნენ იმ ბიჭს, ვერავინ ბედავდა თქმას, მაგრამ... ბევრი კი არ უნდა გემბანი-

*novecento - ცხრაასი(იტ.); იტალიურად ნიშნავს მეოცე საუკუნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გადავარდნას და... მერე ზღვა იმას შერება, რაც ეპრიანება, და... გულში ყველა სიკვდილზე ფიქრობდა, როცა ოცდაერთი დღის შემდეგ რიო დე ჟანეიროსაკენ გაემართნენ, ისე რომ ნოვეჩენტო არ გამოჩენილა, არც რამე გაუგიათ მისი.... გასვლისას გირლანდები, სირენები, ფეიერვერკი, როგორც ყოველთვის, მაგრამ ამჯერად სხვაგვარი იყო, ნოვეჩენტოს ჰკარგავდნენ, სამუდამოდ, რაღაც უმანჭავდა ღიმილს სუყველას, შიგნიდან ჭამდა.

მგზავრობის მეორე ღამით, როცა ირლანდიური ნაპირის სინათლეებიც აღარ ჩანდა, ბოცმანი ბარი გიჟივით შევარდა კაპიტნის კაიუტაში, გააღვიძა, წამოდიო, ეხვეწებოდა. კაპიტანმა ერთი შეიკურთხა, მაგრამ გაყვა.

პირველი კლასის საცეკვაო დარბაზი.

ჩამქრალი სინათლეები.

ხალხი საღამურებში, ფეხზე, შესასვლელში. კაიუტებიდან გამოცვენილი მგზავრები.

და გამურული მეზღვაურები, ტელეგრაფისტი ტრუმენიც.

ჩაჩუმებულები მისჩერებოდნენ.

ნოვეჩენტო.

როიალის სკამზე იჯდა, ფეხებჩამოკონწიალებული.

და,

ღმერთო მაღალო,

უკრავდა.

(უკრავს აუდიოზე მუსიკა ფორტეპიანოათვის, უბრალო, ნელი, მაცდუნებელი)

რა ვიცი რა ეშმაკს უკრავდა, მაგრამ რაღაც პატარას და.... ლამაზს. არავითარი ფოკუსი, სწორედ ის იყო, უკრავდა, მისი ხელები იყო კლავიშებზე, ღმერთმა უწყის, როგორ. უნდა მოგესმინათ, რა გამოსდიოდა. ერთი ვარდისფერხალათიანი ქალბატონი იყო, თმაში სამაგრებგარჭობილი, ფულით გატენილი, რომელიმე დამზღვევის ამერიკელი ცოლი, ისე, ცნობისათვის... ჰოდა, ამხელა ცრემლები ჩამოსდიოდა ლამის კრემზე, უყურებდა და ტიროდა. გაოცებისაგან ადულებულ-ათუხთუხებული კაპიტანი რომ დაინახა, ამოიქშუტუნა და როიალზე მიუთითა:

"რა ჰქვია?"

"ნოვეჩენტო"

"სიმღერას კი არა, ბავშვს"

"ნოვეჩენტო"

"როგორც სიმღერას?"

იმ დიალოგთაგანი იყო, რომლის გაძლებაც ზღვაოსნობის კაპიტანს ოთხი–ხუთი სიტყვის მერე აღარ შეუძლია. განსაკუთრებით თუ იმწუთას აღმოაჩინა, რომ ბავშვი, რომელიც მკვდარი ეგონა, არა მარტო ცოცხალია, არამედ ამასობაში პიანინოზე დაკვრაც უსწავლია. მიაგდო მდიდარი დამზღვევის ცოლი თავისი ცრემლებიან-ყველაფრიანად და მტკიცე ნაბიჯით გადაჭრა დარბაზი: პიჟამოს შარვალი და ღილებშეხსნილი ფორმის ზედა ეცვა. ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, მაგალითად: "სად ეშმაკებში ისწავლე?", ან "სად ჯანდაბაში იმალებოდი?", მაგრამ როგორც ფორმაში მცხოვრებ ადამიანებს მოსდით ხოლმე, ფორმაშივე აზროვნებდა. ასე რომ, ესღა უთხრა:

"ნოვეჩენტო, ეს ყველაფერი სრულიად ეწინააღმდეგება წესებს"

ნოვეჩენტომ დაკვრა შეწყვიტა. სიტყვაძუნწი ბიჭუნა იყო, მაგრამ გაგების საოცარი უნარი ჰქონდა. თბილად შეხედა კაპიტანს და უთხრა:

"გავკარი წესებს".

(აუდიოზე ღელვის ხმაური)

ზღვამ გაიღვიძა / ზღვა გადმოვიდა / წყალი ფეთქდება ცის წინააღმდეგ / ფეთქდება / რეცხავს / გამოგლეჯს ქარბუქს / ღრუბლებს ვარსკვლავებს / გიჟი შეშლილი / აიწყვეტს სანამ / ვინ იცის / სულ რაღაც ერთ დღეს / დამთავრდება / დედა ყველაფერი / არ გითქვამს დედა / იავნანა / გარწევს ზღვა / გარწევს კი არა / შეშლილი / ირგვლივ / ქაფი ნაფლეთები / ზღვა გიჟი / იქამდე სანამ / რაიმეს ხედავ / სიშავეს მხოლოდ / და შავ კედლებს / მორევებს / მუნჯია ყველა / ლოდინი / გათავდეს / და ფსკერისკენ წასვლა / არ მინდა დედა / მსურს მშვიდი წყალი / შენ რომ გირეკლავს / შეაჩერე / ეს / უგონო / წყლის / კედლები / რომ იქცევიან / და ეს ხმაური /

ისევ მსურს წყალი შენ რომ იცოდი
იგივე ზღვა
სიჩუმე
ნათელი
მფრინავი თევზები
მაღლა
რომ ფრენენ.

პირველი მგზავრობა, პირველი ღელვა. ბედი არ გინდა. ჯერ კარგად არც გავრკვეულიყავი, რომ *Virginian*-ის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ღელვაში მოვყევი. შუაგულ ღამეში, რაღაცა გადაუტრიალდა და მიდი, დააბზრიალა. ოკეანე. გეგონებოდა აღარასოდეს დამთავრდებოდა. კაცი გემზე საყვირზე რომ უკრავ, ღელვისას ბევრს კი ვერაფერს იზამ. ერთი ის შეგიძლია, საყვირზე დაკვრისაგან თავი შეიკავო, ისე, უბრალოდ, საქმე რომ არ გაართულო. და იყო შენთვის ჭკვიანად, შენს სოროში. მაგრამ შიგნით ვერ ვჩერდებოდი. ამაზე საფიქრალად კი არ გცალია კაცს ამ დროს, მაგრამ დაგენიძლავებით, მაინც გაგიბურღავთ ტვინს ეს ფრაზა: ვირთხასავით გამოიხრჩო. არ მინდოდა ვირთხასავით გამოხრჩობა, ამიტომ გამოვედი კაიუტიდან და ბოდიალი დავიწყე. განა ვიცოდი სად წავსულიყავი, სულ ოთხი დღის ასული ვიყავი გემზე, დიდი საქმე იყო ტუალეტს რომ მივაგნებდი ხოლმე. პატარა მოტივტივე ქალაქებია, ეს გემები. მართლა. მოკლედ, აქეთ-იქით ხეთქებაში და კორიდორებში უაზროდ გასვლა-გამოსვლაში დავიკარგე. მორჩა. საბოლოოდ მქონდა დანძრეული. მაშინ იყო, რომ გამოჩნდა ის, ელეგანტურად გამოწყობილი, მუქ ტანსაცმელში, მშვიდად მოაბიჯებდა, გზააბნეულს კი არ ჰგავდა, თითქოს ვერც კი გრძნობდა ტალღებს, გეგონებოდა ნიცის პლაჟზე მისეირნობსო: ნოვეჩენტო იყო.

ოცდაშვიდი წლის იყო მაშინ, მაგრამ მეტის ჩანდა. თითქმის არც ვიცნობდი. ერთხელ დავუკარით იმ ოთხი დღის მანძილზე ერთად ბენდში, მეტი არაფერი. არც კი ვიცოდი რომელი იყო მისი კაიუტა. ცხადია სხვებისგან გამეგონა მასზე. უცნაურ რამეებს ამბობდნენ: ამბობდნენ: არასოდეს ჩასულაო აქედან. ამ გემზე დაიბადა და აქვე დარჩაო. სულ. ოცდაშვიდი წელი მიწაზე ფეხდაუდგმელად. ასე ნათქვამი რაღაც კოლოსალურ იდიოტობად ჟღერდა.... იმასაც ამბობდნენ, რომ არარსებულ მუსიკას უკრავდა. მე მარტო ის ვიცოდი, რომ ყოველთვის, სანამ დაკვრას დაიწყებდა, იქ, საცეკვაო დარბაზში, ფრიც ჰერმანი, თეთრკანიანი, რომელსაც მუსიკის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ საამო სიფათი ჰქონდა, რის გამოც ბენდს დირიჟორობდა, მიუახლოვდებოდა და ჩაუჩურჩულებდა ხოლმე:

"გთხოვ, ნოვეჩენტო, მხოლოდ ჩვეულებრივი ნოტები, okay?"

ნოვეჩენტო თავს დაუქნევდა და მერე ჩვეულებრივ ნოტებს იღებდა, წინ იყურებოდა, ხელებს არც კი დახედავდა ხოლმე, თითქოს სადღაც სულ სხვაგან იყო. ახლა ვიცი, რომ მართლა სხვაგან იყო. მაგრამ მაშინ არ ვიცოდი: ცოტა უცნაური მეგონა და მეტი არაფერი.

იმ ღამეს შუაგულ ღელვაში, შვებულებაში მყოფი სინიორის გამომეტყველებით მიმავალმა, იქ რომ დამინახა გზააბნეული, მიცვალებულის სიფათით, გამიღიმა და მით-

ხრა: "მოდი".

ახლა, სიმართლე რომ ვთქვათ, კაცი გემზე საყვირს რომ უკრავს და შუა ღელვაში ვინმე რომ ეტყვის "წამოდიო", საყვირზე დამკვრელს ერთადერთი რამ შეუძლია: გაყვეს. მეც გავყევი. მიაბიჯებდა, ის. მე.... ჩემი საქმე ცოტა სხვაგვარად იყო, მსაავით შეკრული ვერ ვიყავი, მაგრამ მაინც... საცეკვაო დარბაზთან მივედით და, ყანყალით, მე, ცხადია, აბა იმას თითქოს ლიანდაგი ჰქონდა ფეხქვეშ, როიალს მივუახლოვდით. გარშემო არავინ იყო. ნოვეჩენტომ როიალის ფეხებზე მანიშნა.

"მოაძრე სამაგრები", თქვა. გემი ისე ცეკავდა, გაგიხარიათ, ფეხზე ვერ დადგებოდი, სიგიჟე იყო იმ ბორბლების გათავისუფლება.

"თუ მენდობი, მოხსენი."

ეს ვერ არის, ვიფიქრე. და მოვხსენი.

"ახლა მოდი და აქ დაჯექი" მითხრა ნოვეჩენტომ.

არ მესმოდა რა უნდოდა, მართლა არ მესმოდა. ვიდექი და ვიჭერდი როიალს, რომელიც ვეებერთელა შავი საპონივით ნელნელა სრიალდებოდა ადგილიდან... გეფიცებით, ჩასაჯმელი სიტუაცია იყო, კისრამდე ტალღები და პლუს ის გიჟი, იმ თავის სკამზე – მეორე საპონზე – წამოჯდარი, ხელებით - კლავიატურაზე.

"ახლა თუ არ ახვედი, ველარ ახვალ", თქვა გიჟმა ღიმილით. *(ადის საქანელაზე, რაღაც შუალედურია საქანელასა და საცირკო ტრაპეციას შორის)* "Okay. დაიკიდე ყველაფერი, Okay.? მაინც რა მაქვს დასაკარგი, ავალ, კარგი, აჰა, მაგ შენ იდიოტურ საქანელაზე, ავედი, ახლა?"

"ახლა, ნუ გეშინია".

და დაიწყო დაკვრა.

(იწყება მუსიკა ფორტეპიანოსთვის, ცეკვას ჰგავს, ვალსივით მშვიდი და თბილი. საქანელა იწყებს რწევას და მსახიობს სცენაზე დაატარებს. ნელნელა, სანამ მსახიობი თხრობას განაგრძობს, მოძრაობა ფართოვდება, თითქმის კულისებს სწვდება)

ახლა, არავინ ხართ ვალდებული დაიჯეროთ, უფრო სწორად, ჩემთვის რომ მოეყოლათ, მეც არასოდეს დავიჯერებდი, მაგრამ ფაქტი ისაა რომ როიალი გასრიალდა საცეკვაო დარბაზის ხის იატაკზე, და ჩვენც მივყევით, ნოვეჩენტო უკრავდა, კლავიშებს არ აშორებდა მზერას, სხვაგან იყო თითქოს, როიალი ტალღებს დაყვებოდა, მიდიოდა და მოდიოდა, ადგილზე ტრიალებდა, შუშაბანდისკენ გაეშურებოდა, მიუახლოვდებოდა, გაჩერდებოდა და უკან გამოსრიალდებოდა ნელა, გეუბნებით, ზღვა თითქოს არწევდა, და ჩვენც გვარწევდა, მე არაფერი მესმოდა, ნოვეჩენტო კი უკრავდა, წამით არ ჩერდებოდა, და ცხადი იყო, *უბრალოდ* კი არ უკრავდა, *მართავდა* იმ როიალს, გესმით?, კლავიშებით, ნოტებით, რა ვიცი რით, იქით მიყავდა, საითაც სურდა, აბსურდია, მაგრამ ასე იყო. და სანამ მაგიდებს შორის დაბზრიალებდა, სასანთლეებსა და სავარძლებს ეხებოდა, მივხვდი, რომ იმწუთას რასაც ჩვენ ვაკეთებდით, ის, რასაც *მართლა* ვაკეთებდით, იყო ოკეანესთან ცეკვა, მე და ის, გიჟი მოცეკვაეები, არაჩვეულებრივები, გადარეულ ვალსში ჩართულები, ღამის სინათლით მოოქროვილ პარკეტზე. Oh yes.

(იწყებს სცენაზე გადარეულივით ტრიალს. თავისი საქანელათი, ბედნიერი იერით, მაშინ როცა ოკეანე გიჟდება, გემი ცეკვავს, მუსიკა, ვალსისმაგვარი, რომელიც სხვადასხვა ეფექტებით ჩქარდება, აშუხრუჭებს, ტრიალდება, მოკლედ "მართავს" დიდ ცეკვას. მერე, მერომელიღაცე ილეთის შემდეგ, არასწორ მანევრს აკეთებს და კულისებისკენ მიექანება. მუსიკა "დამუხრუჭებას" ცდილობს, მაგრამ გვიანაა. მსახიობი დაყვირებასლა ასწრებს მხოლოდ:

"ღმერთო...."

და გვერდითი კულისიდან გავარდება, რაღაცას ენარცხება. ისმის საშინელი ჭახანი, თითქოს შუშაბანდი, ბარი, სასადილო, ან რაშე სხვა ჩაემსხვრიოს. საშინელება. წამით პაუზა და სიჩუმე. მერე იგივე კულისიდან, საიდანაც გავიდა, მსახიობი შემოდის, ნელა)

ნოვეჩენტომ მითხრა, კიდევ დასახვეწი მაქვსო ეს ილეთი. ვუთხარი, პრინციპში მარტო მუხრუჭების შემაგრება გჭირდება-მეთქი. ღელვა რომ დამთავრდა, კაპიტანმა *(გაცოფებული, ყვირილით)* თქვა: **"ეშმაკმა წაიღოს თქვენ ორნი ახლა ჩაეგდებით სამანქანოში თუ არა და ამ ხელებით დაგახრჩობთ, და კარგად იცოდეთ, ყველაფერს გადაიხდით, ბოლო ცენტამდე, მთელი ცხოვრება მუშაობა რომ დაგჭირდეთ, ამას ისე გპირდებით, როგორც ახლა ამ გემს *Virginian* ჰქვია და თქვენ ორნი კიდევ ორი ყველაზე დიდი იდიოტი ხართ, ვინც კი ოდესმე გაკარებია ოკეანეს!"**

იმ ღამეს, სამანქანო დარბაზში დავმეგობრდით მე და ნოვეჩენტო. სამუდამოდ. მთელი ღამე ანგარიშში გავატარეთ, რამდენი გამოვიდოდა დოლარებში ჩვენს მიერ მიყენებული ზარალი. რაც უფრო იზრდებოდა ციფრი, მეტს ვიცინოდით. ახლა რომ ვფიქრობ, ალბათ ის იყო ბედნიერება. ან რაღაც ამდაგვარი.

იმ ღამეს იყო, რომ ვკითხე მისი და გემის ამბავი, მოკლედ, მართალი იყო თუ არა, რომ გემზე იყო დაბადებული და სხვა დანარჩენი... რომ არასოდეს ჩასულიყო ხმელეთზე. მიპასუხა: "კი".

"*მართლა* მართალია?"

სრულიად სერიოზული იყო.

"მართლა მართალია".

ის, რაც იმწამს ვიგრძენი, უნებურად, არ ვიცი რატომ, ჟრუანტელი იყო: შიშის ჟრუანტელი.

შიშის.

ერთხელ ვკითხე ნოვეჩენტოს, რომ უკრავ, რა ჯანდაბაზე ფიქრობ, ან რას უყურებ-მეთქი გაშტერებული, მოკლედ, სად მიდიოდა აზრით, მაშინ როცა ხელები კლავიშებზე დაუდიოდნენ. მითხრა: "დღეს ულამაზეს მხარეში ვიყავი, ქალებს სურნელოვანი თმები ჰქონდათ, ყველაფერი სინათლით და ვეფხვებით იყო სავსე."

მოგზაურობდა.

და სულ სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდებოდა ხოლმე: ლონდონის ცენტრში, სოფლად მიმავალ მატარებელში, უმაღლესი მთის მწვერვალზე, თოვლი მუცლამდე რომ გწვდება, ქვეყნად ყველაზე დიდ ტაძარში, კოლონებს ითვლიდა და ჯვარცმულებს ჩაჰყურებდა თვალებში. მოგზაურობდა. ძნელი გასაგებია, საიდან უნდა სცოდნოდა ეკლესია, თოვლი, ვეფხვები და... ანუ, არასოდეს ჩასულიყო იმ გემიდან, მართლა არასდროს, ზღაპარი კი არა, ყველაფერი მართალი იყო. არასდროს ჩასულიყო და თითქოს ენახა ყველაფერი. რომ ეტყოდი "პარიზში ვიყავი", გკითხავდა, ამადაამ ბაღში თუ იყავი, ამადაამ ადგილას თუ შეხვედიო საჭმელად, ყველაფერი იცოდა, გეტყოდა "იცი რა მიყვარს მანდ, Pont Neuf-ზე სეირნობა მზის ჩასვლისას, გოგოები რომ ჩაივლიან, გაჩერება და ზევიდან ყურება, და ხელის დაქნევა."

"ნოვეჩენტო, კი მაგრამ, ყოფილხარ პარიზში, შენ?"

"არა".

"აბა მაშინ..."

"ჰო... კი".

"რა კი?"

"პარიზში"

გიჟიაო იფიქრებდი. მაგრამ ასე უბრალოდ არ იყო საქმე. როცა კაცი ზუსტად გეუბნება, რა სურნელი დგას ახალნაწვიმარ Bertham Street-ზე ზაფხულში, იმის გამო, რომ Bertham Street-ზე არასოდეს ყოფილა, გიჟიაო, ვერ დააბრალებ. ვიღაცის თვალებში, ვიღაცის სიტყვებში,

მას ის ჰაერი მართლა ესუნთქა. თავისებურად: მაგრამ მართლა ესუნთქა. შეიძლება თავად არასოდეს ენახა, მაგრამ ოცდაშვიდი წლის მანძილზე გადადიოდა სამყარო იმ გემზე, და ოცდაშვიდი წელიწადი, ის გემიდან უთვალთვალებდა. და სულს ჰპარავდა.

ამაში გენიოსი იყო, ვერაფერს იტყვი. მოსმენა იცოდა. და კითხვა. წიგნების კი არა, წიგნი ყველა მშვენიერია, ადამიანების კითხვა იცოდა. იმ ნიშნების, რასაც ადამიანები ატარებენ: ადგილები, ხმაური, სუნი, მათი მიწა, მათი ამბავი... ზედ აღბეჭდილს, ჩაწერილს. კითხულობდა და, საოცარი ზრუნვით ახარისხებდა, აწესრიგებდა.... ყოველდღე პატარა ნაწილს ამატებდა ვეებერთელა რუკას, რომელსაც გონებაში იხატავდა, ვეებერთელა მსოფლიო რუკას, მთელი ქვეყნიერებისას, თავიდან ბოლომდე, უზარმაზარ ქალაქებს, ბარების კუთხე-კუნჭულებს, გრძელ მდინარეებს, წუმპეებს, თვითმფრინავებს, ლომებს, საოცარ რუკას. და მერე ღმერთივით დამოგზაურობდა ზედ, მერე, როცა თითები კლავიშებზე დასრიალებდნენ, რეგთაიმის ხვეულებს ელაციცებოდნენ.

(აუდიოზე მელანქოლიური რეგთაიმი იწყება)

წლები დამჭირდა, მაგრამ ბოლოს ძალა მოვიკრიბე და ვკითხე. კი მაგრამ ღმერთო, ნოვეჩენტო, რატომ არ ჩახვალ ერთხელ, თუნდაც ერთხელ, რატომ არ ნახავ სამყაროს, შენი თვალით, მართლა შენი თვალით. რატომ ზიხარ ამ მოტივტივე საპყრობილეში, შეგიძლია Pont Neuf-ზე უცქირო გოგოებსაც და ყველაფერ დანარჩენსაც, რაც გინდა აკეთე, პიანინოზე ღმერთივით უკრავ, გაგიჟდებოდნენ შენთვის, უამრავ ფულს იშოვიდი, ქვეყნად ყველაზე ლამაზ სახლს აირჩევდი, გინდა გემის ფორმისას აიშენებდი, ფეხებზე არ გკიდია?, სადაც გინდა იქ ჩადგამდი, გინდა ვეფხვებში, ან სულაც Bertham Street-ზე... ღმერთოდიდებულო არ შეიძლება ასე წინდაუკან იარო მთელი ცხოვრება იდიოტივით... შენ იდიოტი არა ხარ, შენ ყველაზე მაგარი ხარ და სამყარო კი იქაა, მხოლოდ ის ერთი ნაბიჭვარი კიბე უნდა ჩაიარო, რა გახდა ღმერთო, ეს რამდენიმე იდიოტური საფეხური, იმ საფეხურების ბოლოს ყველაფერია, ყველაფერი. რატომ არ მორჩები და ჩახვალ აქედან, ერთხელ მაინც, ერთადერთხელ.

ნოვეჩენტო... რატომ არ ჩადიხარ?

რატომ?

რატომ?

ზაფხული იყო, 1931-ის ზაფხული, როცა *Virginian*-ზე ჯელი როლ მორტონი ამოვიდა. ერთიანად თეთრებში გამოწყობილი, ქუდიც თეთრი ჰქონდა. და ამხელა ბრილიანტი თითზე.

ეს ის კაცი იყო, რომელიც კონცერტებს რომ მართავდა, პლაკატებზე აწერინებდა ხოლმე: ამ საღამოს ჯელი როლ მორტონი, ჯაზის გამომგონებელი. ისე, უბრალოდ კი არ წერდა: მართლა დარწმუნებული იყო ამაში. ფორტეპიანოზე უკრავდა. ყოველთვის სამ მეოთხედზე იყო ჩამომჯდარი, და ხელები ჰპალებს მიუგავდა. უმსუბუქეს ჰპალებს. ნიუ ორლეანის ბორდელებში დაეწყო დაკვრა, იქ ესწავლა კლავიშების თათუნი, ნოტების ფერება: ზედა სართულზე სიყვარულით იყვნენ დაკავებული, და ყაყანი არ სურდათ. უნდოდათ მუსიკა, ფარდებში, საწოლქვეშ რომ შესრიალდებოდა და არ შეაწუხებდათ. ის ამ მუსიკას ქმნიდა. და ამაში მართლა იყო საუკეთესო.

ერთხელ ვიღაცას სადღაც ნოვეჩენტო უხსენებია მისთვის. ალბათ რაღაც ამდაგვარი უთხრეს: ყველაზე მაგარი ისაა. მსოფლიოში უდიდესი პიანისტი. აბსურდად მოგეჩვენებათ, მაგრამ შესაძლებელი იყო. *Virginian*-ის გარეთ ერთი ნოტი არ დაეკრა, მაგრამ თავისებურად ცნობილი იყო, იმ დროის პატარა ლეგენდა. გემიდან ჩასულები უცნაურ მუსიკაზე ყვებოდნენ, პიანისტზე, რომელიც იმდენ ნოტს იღებდა, თითქოს ოთხი ხელი ჰქონოდა. საინტერესო ხმები დადიოდა, ხანდახან მართალიც, როგორც მაგალითად ამერიკელ სენატორ უილსონზე, რომელმაც მთელი მგზავრობა მესამე კლასში გაატარა, რადგან ნოვეჩენტო იქ უკრავდა ხოლმე, როცა ჩვეულებრივ ნოტებს კი არა, თავის ნოტებს იღებდა, ანუ არაჩვეულებრივებს. ერთი პიანინო ჰქონდა იქ, საღამოობით, ან გვიან ღამით ჩადიოდა ხოლმე. ჯერ უსმენდა: ხალხს ამღერებდა თავთავიანთ სიმღერებს, ხანდახან ვიღაც გიტარას, ან აკორდეონს, ან რამე სხვა საკრავს გამოაძვრენდა, უკრავდნენ, ვინ იცის სადაურ მუსიკას.... ნოვეჩენტო უსმენდა. მერე ნელნელა ეხებოდა კლავიშებს, და ნელნელა ეს ნამდვილ მუსიკად იქცეოდა, გამოდიოდა ხმები პიანინოდან – ვერტიკალური, შავი – არაამქვეყნიური ხმები. ყველაფერი იყო შიგ: ყველაფერი ერთად, ქვეყნიერების ყველა მუსიკა. გაშტერდებოდი. ჰოდა, გაშტერდა სენატორი უილსონი ამის გაგონებაზე, და იმას რომ თავი დავანებოთ, რომ ის, გამოპრანჭული სენატორი, მესამე კლასის სიმყრალეში იხრჩობოდა, - მართლა საშინლად ყარდა იქაურობა, ამას რომ თავი დავანებოთ, ბოლოს სულ ძალით ჩაათრიეს გემიდან, რადგან მისი ნება რომ ყოფილიყო, იქ დარჩებოდა და ნოვეჩენტოს მოუსმენდა მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრების იმ ნაბიჭვარ წლებსაც. მართლა. გაზეთებშიც დაწერეს, მართლა ასე იყო. სწორედ ასე მოხდა.

მოკლედ, ვიღაცა მივიდა ჯელი როლ მორტონთან და უთხრა: არის ერთი იმ გემზე, იმას აკეთებს როიალით, რაც უნდა. როცა ეპრიანება ჯაზს უკრავს, მაგრამ როცა არ უნდა, უკრავს რაღაცას, როგორც ათი ჯაზი ერთად. ჯელი როლ მორტონი კერკეტი ტიპი იყო, ყველამ იცოდა. თქვა: "როგორ უნდა უკრავდეს კარგად ის, ვისაც იმის ტრაკი არა აქვს გემიდან ძირს ჩამოვიდეს?" და ახარხარდა გიჟივით, ის, ჯაზის მომგონი. იქვე დამთავრდებოდა ეს ამბავი მაგრამ მაშინ ვიღაცამ უთხრა: "კარგია რომ იცინი, რადგან იმან რომ ჩამოსვლა გადაწყვიტოს, შენ ისე მიბრუნდები ბორდელში, როგორც მაღლა ცაში ღმერთი არსებობს, ბორდელში". ჯელი როლმა სიცილი შეწყვიტა, ჯიბიდან პატარა სადაფისტარიანი პისტოლეტი დააძრო და შუბლზე დაადო ამის მთქმელს, მაგრამ არ გაუსვრია: თქვა: "სადაა ეგ ნაბიჭვარი გემი?"

დუელი ჰქონდა გუნებაში. მაშინ მიღებული იყო. ეჯიბრებოდნენ დაკვრაში და ბოლოს ერთი იმარჯვებდა. მუსიკოსების ამბები. არავითარი სისხლი, მაგრამ სიძულვილი კი გვარიანად იყო, ნამდვილი სიძულვილი, კანქვეშ. ნოტები და ალკოჰოლი. შეიძლება მთელი ღამეც გაგრძელებულიყო. ეს ჰქონდა აზრად ჯელი როლს, ბოლო მოეღო ოკეანეზე მოარული პიანისტის ამბისთვის, და მთელი იმ ზღაპრებისთვის. პრობლემა ის იყო, რომ ნოვეჩენტო პორტებში არასოდეს უკრავდა, არ სურდა. პორტი უკვე მიწა იყო, და არ უნდოდა. ის იქ უკრავდა, სადაც თავად სურდა. მას კი შუაგულ ზღვაში სურდა, როცა ხმელეთი მხოლოდ შორეული სინათლეებია, ან მოგონება, ან იმედი. ასეთი იყო. ჯელი როლ მორტონმა ბევრჯერ შეიკურთხა, მაგრამ ბოლოს ევროპისკენ და უკან ბილეთი იყიდა და *Virginian*-ზე ავიდა, ის, რომელსაც გემზე ფეხი არ დაედგა, თუ მისისიპიზე აღმადაღმა მავალ გემებს არ ჩავთვლით. "ამაზე დიდი იდიოტობა ცხოვრებაში არ გამიკეთებია", უთხრა ბოსტონის პორტის მეთოთხმეტე მისადგომთან მის მისაგებებლად მისულ ჟურნალისტებს, თან რამდენიმე შეკურთხებაც ჩააბვია ნათქვამში. მერე კაიუტაში ჩაიკეტა, და დაელოდა, რომ ხმელეთი შორეულ სინათლეებად ქცეულიყო, და მოგონებად, და იმედად.

ნოვეჩენტოს დიდად არ ადარდებდა ეს ამბავი. არც კი ესმოდა კარგად. დუელი? და რატომ? ისე, აინტერესებდა კი. უნდოდა მოესმინა, ერთი როგორ უკრავდა ჯაზის გამომგონებელი. ამას ხუმრობით კი არ ამბობდა. მართლა

სჯეროდა: რომ მართლა ჯაზის გამომგონებელი იყო. მგონი რაიმეს სწავლის იმედიც ჰქონდა. რაიმე ახლის. ასეთი იყო, ის. როგორც ძველი დენი. შეჯიბრის შეგრძნება არ ჰქონდა, ფეხებზე ეკიდა ვინ მოიგებდა. დანარჩენი აინტერესებდა. ყველაფერი დანარჩენი.

გასვლის მეორე დღეს, ოცდაერთ საათსა და ოცდაჩვიდმეტ წუთზე, ევროპისაკენ ოცი კვანძით მიმავალ *Virginian*-ზე, პირველი კლასის საცეკვაო დარბაზში ჯელი როლ მორტონი გამოცხადდა, ელეგანტური, შავ ტანსაცმელში. ყველამ შესანიშნავად იცოდა რა უნდა ექნათ. მოცეკვავეები გაჩერდნენ, ჩვენ, ბენდმა, ინსტრუმენტები გადავდეთ, ბარმენმა ვისკი დაასხა, და ხალხი დამუნჯდა. ჯელი როლმა ვისკი აიღო, როიალს მიუახლოვდა და თვალებში შეხედა ნოვეჩენტოს. არაფერი უთქვამს, მაგრამ ის, რაც ჰაერში გაისმა, იყო: "ადექი მაქედან".

ნოვეჩენტო ადგა.

"თქვენ ისა ხართ, ჯაზი რომ გამოიგონა, არა?"

"დიახ. და შენ ის ხარ, თუ ოკეანე არ გიდევს ტრაკქვეშ, რომ არ უკრავ, არა?"

"დიახ".

წარუდგნენ ერთმანეთს. ჯელი როლმა სიგარეტს მოუკიდა, როიალის კიდეზე ჩამოდო, დაჯდა და დაკვრა დაიწყო. რეგთაიმი. თითქოს იქამდე არასოდეს მომესმინა. კი არ უკრავდა, დასრიალებდა. როგორც ქალის სხეულიდან ცეკვით ჩამოცურებული აბრეშუმის პერანგი. ამერიკის ყველა ბორდელი იყო იმ მუსიკაში, მდიდრული ბორდელები, სადაც გარდერობისტი ქალიც ლამაზია. ჯელი როლმა ბოლოს უმსუბუქესი უხილავი ნოტები ამოქარგა, მაღლა მაღლა, კლავიატურის ბოლოში, მარმარილოს იატაკზე გადმოფრქვეული მარგალიტების პაწაწინა ჩანჩქერი. სიგარეტი ისევ იქ იდო, ნახევრად ჩამწვარი, ფერფლი კი არ იძროდა. იტყოდი, სიჩუმე რომ არ დაერღვია, იმიტომ არ ჩამოვარდაო. ჯელი როლმა აიღო სიგარეტი, პეპლებივით ხელები ჰქონდა, გითხარით, ფერფლი ზედვე იყო, ჩამოვარდნას არც ფიქრობდა, ალბათ რაიმე ფოკუსიც იყო, არ ვიცი, ფაქტია რომ არ ვარდებოდა. ადგა ჯაზის მომგონი, ნოვეჩენტოს მიუახლოვდა, ცხვირთან მიუტანა სიგარეტი, ლამაზად გასწორებული ფერფლით, და უთხრა:

"შენი ჯერია, მეზღვაურო".

ნოვეჩენტომ გაიღიმა. ერთობოდა. მაგრად. მიუჯდა პიანინოს და ყველაზე სულელური რამ გააკეთა, რაც კი შეეძლო ექნა. "დამბრუნდი პაპარინო" დაუკრა, უიდიოტურესი სიმღერა, საბავშვო, ერთი ემიგრანტისგან ჰქონდა მოსმენილი, ადრე, და იმის მერე აღარ ეშვებოდა, მართლა მოსწონდა, არ ვიცი რა ნახა მასში, მაგრამ საშინლად გულისამაჩუყებლად მიაჩნდა. ოსტატობის მაჩვენებელი ნამდვილად არ იყო. რომ მომენდომებინა, მეც დავუკრავდი. ცოტა ბანებს წაეთამაშა, რაღაცეები გაარმაგა, ორი-სამი თავისი ჩაურთო, მაგრამ იდიოტობა იყო და იდიოტობად დარჩა. ჯელი როლს იმ ადამიანის სახე ჰქონდა, საშობაო საჩუქრები რომ მოპარეს. ორი მგლური თვალი სტყორცნა ნოვეჩენტოს და ისევ მიუჯდა როიალს. გავარდა ბლუზი, გერმანელ მემანქანესაც რომ აატირებდა, თითქოს მთელი მსოფლიოს ზანგების ბამბა იქ ყოფილიყო და ის კი იმ ნოტებით კრეფდა მას. სულს შიგ ჩატოვებდი. ხალხი ფეხზე წამოდგა: ქსუტუნებდნენ და ტაშს უკრავდნენ. ჯელი როლს წარბი არ შერხევია, ჩანდა რომ ყელში ამოსდიოდა მთელი ეს ამბავი.

ისევ ნოვეჩენტოს ჯერი იყო. უკვე ცუდად იწყებდა, რადგან როიალს თვალცრემლიანი მიუჯდა ბლუზის გამო, გულაჩუყებული იყო, და გასაგებიცაა. საოცარი ის იყო, რომ მთელი იმ მუსიკით, რაც თავში და ხელებში ჰქონდა, რა დაუკრა? წუთის წინ მოსმენილი ბლუზი. "ისეთი ლამაზი იყო", მითხრა მერე, მეორე დღეს, თავის გასამართლებლად. აზრზე მოდი. წარმოდგენა არ ჰქონდა რა იყო დუელი, აზრზე არ იყო. ის ბლუზი დაუკრა. თან მის გონებაში შეცვლილიყო, რაღაც უნელესი, ერთიმეორეს მიწყობილი, მომაკვდინებლად მოსაწყენი აკორდების რიგად ქცეულიყო, პროცესიას ჰგავდა. უკრავდა კლავიატურას ჩახუტებული, ნეტარებდა, თითოთითოდ აგემოვნებდა იმ უცნაურ, უფრო მეტიც, დისონანტურ აკორდებს. ტკბებოდა. სხვები, ნაკლებად. რომ დაამთავრა, სტვენაც გაისმა აქეთიქიდან.

ამაზე ჯელი როლ მორტონმა საბოლოოდ დაკარგა მოთმინება. კი არ მივიდა, მივარდა როიალს. ჩუმად, მაგრამ გამოკვეთილად, ისე რომ ყველამ გაიგო, ჩაილაპარაკა:

"აბა მაშინ გააჯავი შე სირო".

და დაიწყო დაკვრა. დაკვრა ის სიტყვა არაა. ჟონგლიორობა. აკრობატობა. რაც კი შეიძლება გააკეთო 88 კლავიშიანი კლავიატურით, ყველაფერი გააკეთა. თავბრუდამხვევი სისწრაფით. ერთი ნოტი არ შეშლია, ერთი კუნთი არ შერხევია სახეზე. მუსიკა კი არა, ფოკუსი იყო, ლამაზი და კეთილი მაგია, საოცრება წმინდანების გარეშე. საოცრება. ხალხი შეიშალა. კიოდნენ, ტაშს უკრავდნენ, არავის ენახა ასეთი რამ. იმისთანა ამბავი იყო, ახალი წელი გეგონებოდა. იმ აურზაურში ნოვეჩენტოს წინ აღმოვჩნდი. საშინლად იმედგაცრუებული ჩანდა. და ცოტა გაოცებულიც. მითხრა. "ეს მთლად სულელი ყოფილა..."

არ ვუპასუხე. არაფერი იყო საპასუხო. გადმოიწია ჩემსკენ და მითხრა: "ერთი სიგარეტი მომეცი, ჰა, მიდი..."

ისეთი გათიშული ვიყავი, რომ ავიღე და გავუწოდე.... ნოვეჩენტო არ ეწეოდა. არასოდეს მოეწია იქამდე. აიღო სიგარეტი, გატრიალდა და როიალს მიუჯდა. დარბაზს კარგა ხანი დასჭირდა მისახვედრად, რომ ნოვეჩენტო დაჯდა როიალთან და ალბათ დაუკრავდა. მძიმე-მძიმე ხუმრობები გაისმა, სიცილი, სტვენა, ხალხი ასეა, ბოროტია წაგებულთან. ნოვეჩენტომ მოიცადა, სანამ სიჩუმე დამყარდებოდა. მერე ჯელი როლს გახედა, შამპანურს რომ წრუპავდა ბართან, და ხმადაბლა უთხრა:

"იცოდე, შენ მოინდომე ეს, ქვეშაჯმია პიანისტო."

მერე როიალის კიდეზე ჩამოდო ჩემი სიგარეტი.

ჩამქრალი.

და დაიწყო.

(აუდიოზე იწყება რაღაც არაჩვეულებრივი ვირტუოზობით შესრულებული მუსიკა, შეიძლება ოთხი ხელისთვისაც. ნახევარ წუთზე მეტს არ გრძელდება. ბოლოში უძლიერეს აკორდებს მიაყრის. მსახიობი აცლის დამთავრებას, მერე განაგრძობს)

ასე.

ხალხი გაისუსა, არც კი სუნთქავდა. როიალს მიშტერებოდნენ მონუსხულები, იდიოტებივით პირდაბჩენილები. აკორდების იმ მომაკვდინებელი დოზის შემდეგაც, თითქოს ასი ხელი რომ უკრავდა, და როიალი საცაა აფეთქდებოდა, ისე დარჩნენ, ენაჩავარდნილები, გამთაყვანებულები. ამ გასაგიჟებელ სიჩუმეში ნოვეჩენტო ადგა, აიღო ჩემი სიგარეტი, კლავიატურაზე გადაიწია და როიალის სიმებთან მიიტანა.

მსუბუქი შრიალი.

გამოსწია, მოკიდებული იყო.

გეფიცებით.

მოკიდებული.

ნოვეჩენტოს პატარა სანთელივით ეჭირა ხელში სიგარეტი. თავად არ ეწეოდა, დაჭერაც არ იცოდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ჯელი როლ მორტონთან მივიდა და სიგარეტი გაუწოდა.

"შენ მოწიე. მე არ მეხერხება"

მაშინ იყო, რომ ხალხი ჯადოდან გამოფხიზლდა. ატყდა წივილ-კივილის აპოთეოზი, აპლოდისმენტები, ერთი აურზაური, რა ვიცი, იქამდე არავის ენახა მსგავსი რამ, ბღაოდნენ, ყველას უნდოდა შეხებოდა ნოვეჩენტოს, საყოველთაო გნიასი იდგა, ვეღარაფერს გაიგებდი. მაგრამ მე დავინახე ის, ჯელი როლ მორტონი, ნერვიულად ეწეოდა

იმ შეჩვენებულ სიგარეტს, ცდილობდა სასწრაფოდ მოეძებნა რაიმე გამომეტყველება და ვერ პოულობდა, არც კი იცოდა, საით გაეხედა, მერე კი ის პეპელასავით ხელი აუკანკალდა, აუცახცახდა, და დავინახე, არასოდეს დამავიწყდება, ისე აუკანკალდა, რომ სიგარეტის ფერფლი ჯერ კოხტა შავ სამოსზე, მერე კი შავი ლაქის, ლაპლაპა ფეხსაცმელზე ჩამოესრიალდა. პატარა თეთრ ქულას ჰგავდა. დახედა, კარგად მახსოვს, დახედა თავის ლაპლაპა ფეხსაცმელს, ფერფლს, და მიხვდა, იმას მიხვდა, რაც მისახვედრი იყო, ადგილზევე შეტრიალდა და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ისე რომ ის ფერფლის ქულა არ შეერხია, გადაჭრა დარბაზი და გაქრა, თავისი შავი ლაქის ფეხსაცმლიანად, ერთერთი მათგანით ფერფლის ქულა მიჰქონდა თან, და ზედ ეწერა, რომ ერთმა გაიმარჯვა და რომ ის არ იყო გამარჯვებული.

ჯელი როლ მორტონმა მგზავრობის დარჩენილი ნაწილი კაიუტაში ჩაკეტილმა გაატარა. საუთემპტონში რომ ჩავიდნენ, ჩავიდა *Virginian*-იდან. მეორე დღეს კი ამერიკაში დაბრუნდა, სხვა გემით. აღარაფრის გაგება აღარ სურდა, არც ნოვეჩენტოზე და აღარც სხვა დანარჩენზე. დაბრუნება უნდოდა და მორჩა. მესამე კლასის მოაჯირიდან, კედელზე მიყუდებულმა ნოვეჩენტომ დაინახა, როგორ ჩადიოდა, თავისი კოხტა თეთრი ტანსაცმლით, ღია ფერის ტყავის ჩემოდნებით. მახსოვს, მარტო ეს თქვა:

"გავკარი ჯაზსაც".

ლივერპული ნიუ იორკი ლივერპული რიო დე ჟანეირო ბოსტონი კორკი ლისაბონი სანტიაგო დე ჩილე რიო დე ჟანეირო ანტილი ნიუ იორკი ლივერპული ბოსტონი ლივერპული ჰამბურგი ნიუ იორკი გენუა ფლორიდა რიო დე ჟანეირო ფლორიდა ნიუ იორკი გენუა ლისაბონი რიო დე ჟანეირო ლივერპული რიო დე ჟანეირო ლივერპული ნიუ იორკი კორკი კერბურგი ვანკუვერი კერბურგი კორკი ბოსტონი ლივერპული რიო დე ჟანეირო ნიუ იორკი ლივერპული სანტიაგო დე ჩილე ნიუ იორკი ლივერპული, და შუაში, ოკეანე. და სწორედ იქ, სურათიც ჩამოვარდა.

ყოველთვის მაგიჟებდა სურათების ამბავი. კიდიან წლობით, მერე ერთ დღეს, ისე, უმიზეზოდ, გეუბნებით უმიზეზოდ, *ბრაბ*, და ჩამოვარდებიან. არიან თავისთვის ლურსმანზე, არავინ ეხებათ, მაგრამ ერთ დღეს მაინც, *ბრაბ*, და ჩამოვარდებიან, ქვასავით. სრულ სიჩუმეში, ირგვლივ არაფერი იძვრის, ბუზიც არ დაფრენს, ისინი კი, *ბრაბ*. მიზეზი არ არსებობს. რატომ მაინცდამაინც იმ წამს? არავინ იცის. *ბრაბ*. რა უნდა მოუვიდეს ლურსმანს რომ გადაწყვიტოს რომ აღარ შეუძლია? იმასაც სული აქვს, საბრალოს? გადაწყვეტილებებს იღებს? სურათთან იკამთა იქამდე, ვერ გადაეწყვიტათ რა ექნათ, ყოველ საღამოს მსჯელობდნენ, წლების მანძილზე, და მერე შეთანხმდნენ თარიღზე, საათზე, წუთზე, წამზე, და ისიც, *ბრაბ*. თუ თავიდანვე იცოდა ორივემ, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, იცი, მე შვიდი წლის მერე ყველაფერს ვტოვებ, კარგი, okay აბა შევთანხმდით 13 მაისს, okay, ექვსისთვის, არა იყოს ექვსს რომ თხუთმეტი დააკლდება, კარგი, აბა ღამე მშვიდობისა. შვიდი წლის შემდეგ, 13 მაისს, ექვსს რომ თხუთმეტი დააკლდება: *ბრაბ*. რას გაიგებ. ერთ-ერთ იმ საკითხთაგანია, რომელზეც ჯობია არ იფიქრო, თორემ გაგაგიჟებს. სურათი რომ ვარდება. როცა გეღვიძება და ხვდები რომ აღარ გიყვარს. როცა გაზეთს შლი და იგებ, რომ ომი დაიწყო. როცა მატარებელს დაინახავ და ფიქრობ რომ უნდა წახვიდე. როცა სარკეში ჩაიხედავ და, დაბერებულხარ. როცა, ოკეანეში, ნოვეჩენტომ თავი აიღო თეფშიდან და მითხრა: "ნიუ იორკში, სამი დღის შემდეგ, ჩავალ ამ გემიდან."

გავშრი.

ბრაბ.

სურათს ვერც ვერაფერს ჰკითხავ, მაგრამ ნოვეჩენტოს - კი. ცოტა ხანს ვაცადე, მერე დავუწყე შემოვლა, მინდოდა გამეგო რატომ, რამე მიზეზი ხომ უნდა ყოფილიყო. კაცი ტყუილად არ ზის გემზე ოცდათორმეტი წელიწადი, რომ მერე ერთ დღეს ისე ჩავიდეს, ვითომც არაფერი, საუკეთესო მეგობარსაც არ უთხრას რატომ, არაფერი უთხრას.

"ერთი რამე უნდა ვნახო იქ ქვევით," მითხრა.

"რა ერთი რამე?" არ უნდოდა თქმა, და მესმის კიდეც მისი, რადგან რომ თქვა, ეს თქვა:

"ზღვა".

"ზღვა?"

"ზღვა".

აზრზე მოდი. ყველაფერს იფიქრებდი, მაგრამ ამას არა. არ მეჯერებოდა, გამასხარავებას ჰგავდა. არ მინდოდა დამეჯერებინა. საუკუნის იდიოტობა იყო.

"ოცდათორმეტი წელი უყურებ ზღვას, ნოვეჩენტო".

"აქედან. მე იქიდან მინდა დავინახო. სხვა რამეა."

ღმერთო დიდებულო. მეგონა ბავშვს ველაპარაკებოდი.

"კარგი, მოიცადე, პორტში რომ შევალთ, მერე შემოტრიალდი და გახედე. იგივე არაა?"

"არაა იგივე".

"ვინ გითხრა?"

ერთს ეთქვა თურმე, ბასტერი ერქვა, ლინ ბასტერი. გლეხი იყო. იმათთაგანი, ორმოცი წელი რომ ვირივით მუშაობენ, მხოლოდ საკუთარ ყანას და ერთი-ორჯერ, დღესასწაულზე, რამდენიმე მილის მოშორებით მყოფ ქალაქს ხედავენ. მერე გვალვას ყველაფერი წაურთმევია, ცოლი ვიღაც მქადაგებელს გაყოლია, არ ვიცი რისას, შვილები ციებას წაუყვანია, ორივე. იღბლიან ვარსკვლავზე დაბადებული, მოკლედ. ისე რომ ერთ დღეს მოუხიკავს ბარგი და მთელი ინგლისი ფეხით გადაუვლია, რომ ლონდონში ჩასულიყო. მაგრამ რადგანაც გზებში დიდად ვერ ერკვეოდა, ლონდონის ნაცვლად ერთ სოფელში მოხვედრილა, სადაც, თუ გზას გაყვებოდი, ორ მოსახვევს გაივლიდი და გორაკსაც შემოუვლიდი, ბოლოში, უცებ, ზღვას დაინახავდი. არასოდეს ენახა ზღვა. მეხდაცემულივით დარჩენილა. თუ მის ნათქვამს დაუჯერებდი, იმას გადაურჩენია. ამბობდა: "ისეა, როგორც გიგანტური ბღავილი, რომ ყვირის და ყვირის. ყვირის: "რქიანთა ჯგროვ, ცხოვრება უსასრულო რამაა, გინდათ გაიგოთ ეს თუ არა? უსასრულო." მას, ლინ ბასტერს, არასოდეს ეფიქრა ეს. არასოდეს მოსვლოდა აზრად, ამაზე ეფიქრა. რევოლუციასავით ყოფილა მის თავში.

საქმე ალბათ ისაა, რომ მასაც, ნოვეჩენტოსაც, არასოდეს მოსვლოდა აზრად, რომ ცხოვრება უსასრულოა. შესაძლოა ეჭვობდა კიდეც, მაგრამ ისე არავის ეყვირა მისთვის. ათასჯერ მოაყოლა ლინ ბასტერს ზღვის ამბავი, და სხვა დანარჩენიც, და ბოლოს გადაწყვიტა, რომ თავადაც უნდა განეცადა. მე რომ მიხსნიდა ამას, იმ კაცის სახე ჰქონდა, შიგაწვის ძრავის მუშაობის პრინციპს რომ გიხსნის: მეცნიერი იყო.

"აქ შეიძლება წლები გავატარო, მაგრამ ზღვამ არაფერი მითხრას. ახლა ჩავალ, ვიცხოვრებ მიწაზე და მიწით, წლების მანძილზე, ჩვეულებრივი გავხდები, მერე ერთ დღეს წავალ, ნებისმიერ ნაპირს მივადგები, ზღვას გავხედავ და: მის ყვირილს მოვუსმენ."

მეცნიერი. მე საუკუნის მეცნიერულ სისულელედ მეჩვენებოდა. შემეძლო მეთქვა, მაგრამ არ ვუთხარი. არ იყო ასე ადვილი. მე მიყვარდა ნოვეჩენტო, მინდოდა, რომ ადრე თუ გვიან ჩასულიყო იქიდან, ხმელეთზე დაეკრა ხალხისათვის, კარგი ქალი შეერთო. შვილები ჰყოლოდა და მოკლედ, ყველაფერი ჰქონოდა ცხოვრებისა, რომელიც, შეიძლება უსასრულო არაა, მაგრამ მაინც ლამაზია, თუ ცოტაოდენი იღბალი, და სურვილი გაქვს. მოკლედ, ის ზღვის ამბავი მე სრულ იდიოტობად მომაჩნდა, მაგრამ თუ ნოვეჩენტოს ხმელეთზე ჩაიყვანდა, კმაყოფილი ვიქნებოდი. ბოლოს ვიფიქრე, რომ ასე უკეთესი იქნებოდა. ვუთხარი, რომ მის მსჯელობას წყალი არ გაუვიდოდა. და რომ კმაყოფილი ვიყავი, მართლა. და რომ ჩემი აქლემის ბეწვის პალ-

ტოს ვაჩუქებდი, მაგარი იქნებოდა, აქლემის ბეწვის პალტოში, კიბეზე ჩამავალი. ის ცოტა აღელვებული იყო:

"მაგრამ ხომ მოხვალ ჩემს სანახავად, არა? ხმელეთზე"

ღმერთო, ქვა მქონდა გაჩხერილი აქ, ყელში, მაგიჟებდა ამას რომ ამბობდა, მეზიზღება გამომშვიდობებები, გავიცინე როგორც შემეძლო, სატანჯველი იყო, ვუთხარი რომ რა თქმა უნდოდა, მივიდოდი, მინდოდრი ვარბენინებდით მის ძაღლს, მისი ცოლი ინდაურს გააკეთებდა, რა ვიცი კიდევ რა სისულელეს ვეუბნებოდი, ის იცინოდა, მეც, მაგრამ ორივემ ვიცოდით, რომ სიმართლე სხვაგვარი იყო, სიმართლე ის იყო, რომ ყველაფერი მთავრდებოდა, და ვერაფერს გახდებოდი, უნდა მომზდარიყო და ახლა ხდებოდა: დენი ბუდმენ ტ.დ. ლემონ ნოვეჩენტო ჩავიდოდა *Virginian*-დან, ნიუ იორკის პორტში, თებერვლის ერთ დღეს, ზღვაზე გატარებული ოცდათორმეტი წლის შემდეგ ხმელეთზე ჩავიდოდა ზღვის სანახავად.

(იწყება მუსიკა, ძველი ბალადის მსგავსი. მსახიობი სიბნელეში უჩინარდება, რათა შემდეგ გამოჩნდეს ნოვეჩენტოს ტანსაცმელში გემის კიბის თავში. აქლემის ბეწვის პალტო, ქუდი, დიდი ჩემოდანი. ცოტა ხანი ადგილზე დგას, ქარში, წინ იყურება. ნიუ იორკს გასცქერის. მერე ჩავლის პირველ საფეხურს, მეორეს, მესამეს. აქ მუსიკა უეცრად წყდება და ნოვეჩენტო ადგილს ეჯაჭვება. მსახიობი ქუდს იხდის და მაყურებლისკენ ბრუნდება.)

მესამე საფეხურზე იყო, რომ გაჩერდა. უცებ.

"რა ხდება? ფეხი ჩადგა რამეში?", თქვა ნეილ ო'კონორმა, რომელსაც არასოდეს არაფერი ესმოდა, მაგრამ გუნებას ვერასოდეს ვერაფრით გაუფუჭებდი.

"რამე დარჩებოდა," ვთქვი.

"რა?"

"მე რა ვიცი რა..."

"ალბათ დაავიწყდა რატომ ჩადის."

"ნუ მაიმუნობ."

ის კი იდგა იქ, ერთ ადგილზე, ერთი ფეხით მეორე საფეხურზე, მეორით – მესამეზე. უსასრულოდ დიდხანს დარჩა ასე. წინ იყურებოდა, თითქოს ეძებდა რაღაცას. მერე უცნაური რამ გააკეთა, ქუდი მოიხადა, კიბის მოაჯირიდან გასწია და ხელი გაუშვა. დაღლილ ფრინველს ჰგავდა, ან ფრთიან ლურჯ ერბოკვერცხს. ერთი-ორი შემოტრიალდა ჰაერში და ზღვაში ჩავარდა. ტივტივებდა. ალბათ უფრო ფრინველი იყო, ვიდრე ერბოკვერცხი. კიბეს რომ შევხედეთ, ნოვეჩენტო დავინახეთ, თავის აქლემის ბეწვის პალტოში, *ჩემს* აქლემის ბეწვის პალტოში, უკანვე ამოიარა ის ორი საფეხური, სამყაროსკენ ზურგშექცეულმა, სახეზე უცნაური ღიმილით. ორი ნაბიჯიც, და გემზე გაუჩინარდა.

"ნახე? ახალი პიანისტი მოვიდა," თქვა ნეილ ო'კონორმა.

"ამბობენ ყველაზე მაგარიაო," ვთქვი მე. არც ვიცოდი, ნაღვლიანი ვიყავი თუ გიჟივით ბედნიერი.

არაფრით არ მითხრა, რა დაინახა იმ დაწყევლილი მესამე საფეხურიდან. იმ დღეს და მომდევნო ორი მგზავრობის განმავლობაში ნოვეჩენტო რაღაც უცნაური იყო, ჩვეულებრივზე ნაკლებს ლაპარაკობდა, და რაღაც თავისი პირადი საქმით ძალიან დაკავებული ჩანდა. ჩვენ არაფერს ვეკითხებოდით. ის ისე იქცეოდა, ვითომც არაფერი. ჩანდა, რომ მთლად ჩვეულებრივად არ იყო საქმე, მაგრამ არ გვინდოდა გვეკითხა რამე. ასე გაგრძელდა რამდენიმე თვე. მერე ერთ დღეს ნოვეჩენტო ჩემთან კაიუტაში შემოვიდა და ნელა, მაგრამ გაუჩერებლად, პაუზის გარეშე, მითხრა: "გმადლობ პალტოსთვის, ღმერთივით მქონდა, მართლა სამწუხაროა, დასანანია, მაგრად მომიხდებოდა, მაგრამ ახლა ყველაფერი უკეთესადაა, გაიარა, და არ იფიქრო უბედური ვიყო: აღარასოდეს ვიქნები უბედური."

მე სულაც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ოდესმე ყოფილიყოს უბედური. არ იყო იმათთაგანი, თავს რომ ჰკითხავ ხოლმე, ვინ იცის, ბედნიერია? ის ნოვეჩენტო იყო, და მორჩა. არც მოგდიოდა აზრად რომ რაიმე კავშირი ჰქონდა ბედნიერებასთან, ან ტკივილთან. ყველაფერზე მაღლა იდგა თითქოს, შეუხებელი იყო. ის და მისი მუსიკა: დანარჩენს ფასი არ ჰქონდა.

"არ იფიქრო, უბედური ვიყო. აღარასოდეს ვიქნები უბედური." გავშრი ამის გაგონებაზე. ეს რომ თქვა, იმ კაცის სახე ჰქონდა, რომ არ ხუმრობს. ადამიანის, რომელმაც შეესანიშნავად იცის, საით მიდის. და რომ მიაღწევს კიდეც იმას, საითაც მიდის. ისევე, როგორც პიანინოსთან. რომ მიუჯდებოდა და დაკვრას დაიწყებდა ხოლმე. მის ხელებში ეჭვი არ იყო, კლავიშები თითქოს ელოდნენ იმ ნოტებს, თითქოს საგანგებოდ მათთვის, მხოლოდ მათთვის იყვნენ იქ. გეგონებოდა, იქვე იგონებსო, მაგრამ მისი გონების რომელიღაც კუნჭულში ის ნოტები მუდამ იყვნენ აღბეჭდილი.

ახლა ვიცი, რომ ნოვეჩენტომ იმ დღეს გადაწყვიტა თავისი ცხოვრების შავთეთრ კლავიშებს მიჯდომოდა და აბსურდული და გენიალური მუსიკა დაეკრა, რთული, მაგრამ ლამაზი, ყველაზე დიდი და ლამაზი. და რომ იმ მუსიკაზე იცეკვებდა ცხოვრების დარჩენილი წლები და რომ აღარასოდეს იქნებოდა უბედური.

მე *Virginian*-დან 1933 წლის 21 აგვისტოს ჩავედი. ექვსი წელი ვიყავი გემზე. მაგრამ ასე მეგონა, მთელი ცხოვრება იყო გასული. ერთი დღით ან ერთი კვირით კი არ ჩავსულვარ: სამუდამოდ ჩავედი. საბუთებით, ბოლო ხელფასით და ყველაფრით. ყველაფერი წესრიგში. ანგარიში გავასწორე ოკეანესთან.

განა არ მომწონდა ის ცხოვრება. უცნაური, მაგრამ მშვენიერი საშუალება იყო ანგარიშების შესაჯამებლად. ოღონდ ვერაფრით წარმომედგინა, რომ უსასრულოდ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. თუ მეზღვაური ხარ, სხვა საქმეა, ზღვა შენი ადგილია, შეგიძლია იქ დარჩე სანამ სული არ გაგძვრება და სწორიცაა. მაგრამ კაცი საყვირზე რომ უკრავ... თუ საყვირზე უკრავ, ზღვაზე უცხო ხარ და მუდამ უცხო დარჩები. ადრე თუ გვიან სახლში უნდა დაბრუნდე. ჯობია ადრე-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი.

"ჯობია ადრე," ვუთხარი ნოვეჩენტოს. მან გაიგო. ჩანდა, რომ არავითარი სურვილი არ ჰქონდა იმ კიბეზე სამუდამოდ ჩამავალი დავენახე, მაგრამ თქმით, არაფერი უთქვამს. ასე ჯობდა. უკანასკნელ საღამოს, პირველი კლასის გამოთაყვანებულებისთვის რომ ვუკრავდით, ჩემი სოლოს დრო რომ მოვიდა, დავიწყე და რამდენიმე ნოტის შემდეგ ვიგრძენი, როგორ ამყვა ფორტეპიანო, ჩუმად, ტკბილად. ასე, ერთად გავაგრძელეთ, რაც შემეძლო კარგად ვუკრავდი, ღმერთო, ლუი არმსტრონგი ვერ ვიყავი, მაგრამ მართლა კარგად დავუკარი, ნოვეჩენტო თან მომყვებოდა, თითონ რომ იცოდა ხოლმე, ისე. კარგა ხანს გავაგრძელეთ, ჩემი საყვირი და მისი პიანინო, უკანასკნელად, ყველაფერი ვუთხარით ერთმანეთს, რასაც სიტყვებით კი ვერ გამოთქვამ. გარშემო ხალხი ცეკვავდა, ვერაფერს ამჩნევდა, და ვერც შენიშნავდა, რა იცოდნენ იმათ, განაგრძობდნენ ცეკვას, ვითომც არაფერი. იქნებ რომელიმემ თქვა კიდეც: "ერთი იმას შეხედე, საყვირზე, რა სასაცილოა, მთვრალი იქნება, ან გიჟი. ერთი იმ საყვირიანს შეხედე, უკრავს, და ტირის."

მერე, იქიდან ჩასვლის შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები, ეს სხვა საქმეა. იქნებ რაიმე სახეიროც გამეკეთებინა, ის წყეული ომი რომ არ გამოჩხერილიყო. ეგეც რა. ამან ყველაფერი გაართულა, კაცი ვეღარაფერს გაიგებდა. მაგარი ტკინი უნდა გქონოდა, რომ თავი გამოგეჩინა. ისეთი თვისებები, რაც მე არ მქონდა. მე საყვირზე დაკვრა ვიცოდი. გასაოცარია, თუ რა უაზრო და უსარგებლოა საყვირზე დაკვრა, როცა გარშემო ომია. როცა ზედ გაქვს ომი.

არ გეშვება.

მოკლედ, *Virginian*-ზე, და ნოვეჩენტოზე, აღარაფერი გამიგია, წლების მანძილზე. განა დამავიწყდა, სულ მახსოვდა, სულ ვეკითხებოდი ხოლმე საკუთარ თავს, ვინ იცის რას იზამდა ნოვეჩენტო აქ რომ ყოფილიყო, რას იტყოდა, "გავკარი ომს", იტყოდა, მე რომ ვამბობდი, სულ სხვა იყო. ისე ცუდად გამომდიოდა, რომ ხანდახან თვალებს დავხუჭავდი და იქ ვბრუნდებოდი, იქ, მესამე კლასში, ემიგრანტების მოსასმენად, ოპერას რომ მღეროდნენ, ნოვეჩენტოს მოსასმენად, რომ უკრავდა, ვინ იცის რა მუსიკას. მის ხელებს, მის სახეს, ირგვლივ ოკეანეს ვიგონებდი. ფანტაზიას მივეცემოდი ხოლმე, წარმოსახვას, მოგონებებს, ესღა გრჩება ადამიანს ხანდახან, რომ თავი გადაირჩინო. სხვა აღარაფერი. გლახაკური ხერხია, მაგრამ ყოველთვის ჭრის ხოლმე.

მოკლედ, დამთავრებული ამბავი იყო, მართლა დამთავრებული მეგონა. მაგრამ მერე ერთ დღეს წერილი მივიღე, ნეილ ო'კონორი მწერდა, ის ირლანდიელი, გაუთავებლად რომ ხუმრობდა ხოლმე. ოღონდ ამჯერად სერიოზული წერილი იყო. ამბობდა, *Virginian* გაპარტახებული დაბრუნდაო ომიდან, მცურავ ჰოსპიტლად იყენებდნენ თურმე. ბოლოს ისე გაოხრებულა, რომ მისი ჩაძირვა გადაუწყვეტიათ. პლიმუტში გადმოუსხამთ დარჩენილი მცირეოდენი ეკიპაჟი, გემი დინამიტით გაუვსიათ და მალე ღია ზღვაში გაიყვანდნენ ასაფეთქებლად: ბუმ, და მორჩა. პოსტ სკრიპტუმიც ჰქონდა, ამბობდა: "ასი დოლარი ხომ არ გექნება? გეფიცები დაგიბრუნებ"; და ქვეშ მეორე პოსტ სკრიპტუმი: "ნოვეჩენტო, კი არ ჩასულა." მხოლოდ ეს: "ნოვეჩენტო, კი არ ჩასულა."

რამდენიმე დღე ხელში ვატრიალე ის წერილი. მერე დავჯექი პლიმუტის მატარებელზე, წავედი პორტში, მოვძებნე *Virginian*, ცოტა ფული მივეცი დაცვას, გემზე ავედი, თავიდან ბოლომდე დავიარე, სამანქანოში ჩავედი, ჩამოვჯექი ყუთზე, ძალიან რომ ჰგავდა დინამიტით სავსეს, ქუდი მოვიხადე, ძირს დავდე და დავრჩი სიჩუმეში, არ ვიცოდი რა მეთქვა /

.... ვიჯექი ჩუმად და ვუყურებდი, იჯდა ჩუმად და მიყურებდა /

დინამიტი მის საჯდომქვეშაც, ყველგან დინამიტი/

დენი ბუდმენ ტ.დ. ლემონ ნოვეჩენტო /

იტყოდი, იცოდაო რომ მივიდოდი, ისევე როგორც იცოდა, რა ნოტებს აიღებდი და.../

იმ დაბერებული, მაგრამ თავისებურად ლამაზი, დაულალავი სახით /

არავითარი სინათლე გემზე. მხოლოდ გარედან შემოდიოდა შუქი ოდნავ, ვინ იცის, ღამე როგორი იყო /

თეთრი ხელები, ბოლომდე შეკრული პიჯაკი, პრიალა ფეხსაცმელი /

კი არ ჩასულა /

ნახევრადბნელში უფლისწულს ჰგავდა /

კი არ ჩასულიყო, ყველაფერთან ერთად აფეთქდებოდა, შუაგულ ზღვაში /

დიდი ფინალი, ყველა მისჩერებოდა პორტის ბაქნიდან, ნაპირიდან, ვეებერთელა ფეიერვერკი, მშვიდობით, ფარდა ეშვება, კვამლი და ალები, უზარმაზარი ტალღა ბოლოს /

დენი ბუდმენ ტ.დ. ლემონ /

ნოვეჩენტო /

წყდიადისაგან ჩაყლაპულ გემზე მისი უკანასკნელი მოგონება ხმაა, თითქმის მხოლოდ ხმა, ნელა, ლაპარაკობს /

/

/

/

/

/

(მსახიობი ნოვეჩენტოდ გადაიქცევა)

/

/

/

/

მთელი ის ქალაქი... ბოლო არ უჩანდა.../

ბოლო, თუ შეიძლება, შეიძლება ბოლო დავინახოთ? /

და ხმაური /

იმ შეჩვენებულზე შეჩვენებულ კიბეზე... ყველაფერი ძალიან კარგად იყო... მაგარი ვიყავი იმ პალტოში, ძალიან მაგარი, ეჭვი არ მეპარებოდა, უეჭველი იყო რომ ჩავიდოდი, არავითარი დაბრკოლება /

ჩემი ლურჯი ქუდით /

პირველი საფეხური, მეორე საფეხური, მესამე საფეხური /

პირველი საფეხური, მეორე საფეხური, მესამე საფეხური /

პირველი საფეხური, მეორე /

იმან კი არ შემაჩერა, რაც დავინახე/

იმან, რაც *ვერ* დავინახე /

შეგიძლია გაიგო, ძმაო?, იმან, რაც *ვერ დავინახე*... ვეძებე, მაგრამ არ იყო, მთელ იმ უსასრულო ქალაქში ყველაფერი იყო, გარდა /

ყველაფერი იყო /

მაგრამ არ იყო *ბოლო*. ის, რაც ვერ დავინახე, სად მთავრდებოდა ის ყველაფერი. სამყაროს დასასრული /

აბა დაფიქრდი. ფორტეპიანო. კლავიშები იწყება. კლავიშები მთავრდება. იცი, რომ 88-აა და ვერავინ გაგაცურებს. ისინი უსასრულონი არ არიან, *შენ*, შენ ხარ უსასრულო, და იმ კლავიშებში უსასრულოა მუსიკა, რომელიც შეგიძლია შექმნა. ისინი 88-ნი არიან. *შენ* უსასრულო ხარ. მე *ეს* მომწონს. ეს ასატანია. ამით შეგიძლია იცხოვრო. მაგრამ თუ შენ /

მაგრამ თუ მე ავალ იმ კიბეზე და ჩემს წინ /

მაგრამ თუ მე ავალ იმ კიბეზე და ჩემს წინ იშლება მილიონკლავიშიანი კლავიატურა, მილიონიანი, მილიარდიანი /

მილიონი, მილიარდი კლავიში, რომლებსაც ბოლო არ აქვთ და ესაა ნამდვილი სინამდვილე, ის, რომ ბოლო არ აქვთ და ის კლავიატურა უსასრულოა /

აბა მაშინ იმ უსასრულო კლავიატურაზე /

იმ კლავიატურაზე არაა მუსიკა, რომელსაც დაუკრავ. სკამი შეგშლია: ამ პიანინოზე უფალი უკრავს /

ღმერთო ჩემო, დაინახე გზები? /

მარტო გზები იყო ათასობით, როგორ ახერხებთ, იქ, ქვევით, ერთი აირჩიოთ /

ერთი ქალი /

ერთი სახლი, ერთი მიწა, რომ თქვენი იყოს, ერთი პეიზაჟი საცქერად, ერთი სიკვდილი /

მთელი ის სამყარო /

მთელი ის სამყარო ზედ გადევს და არც იცი, სად მთავრდება /

ან რამხელაა /

არ გეშინიათ, გაცამტვერდეთ იმ უსასრულობაში, თუნდაც მხოლოდ მასზე ფიქრით? მასში ცხოვრებით.../

მე ამ გემზე დავიბადე. აქ გადადიოდა სამყარო, მაგრამ თითო ჯერზე ორიათასი კაცით. სურვილები აქაც იყო, მაგრამ ისეთი, გემის ცხვირსა და კუდს შორის რომ დაეტევა. უკრავდი საკუთარ ბედნიერებას კლავიატურაზე, რომელიც უსასრულო არ იყო.

მე ასე ვისწავლე. ხმელეთი ჩემთვის ზედმეტად დიდი გემია. ზედმეტად გრძელი გზა. ზედმეტად ლამაზი ქალი. ზედმეტად მძაფრი სურნელი. მუსიკა, რომლის დაკვრაც არ შეშიძლია. მაპატიეთ. მაგრამ მე არ ჩავალ. დამანებეთ უკან დაბრუნება.

თუ შეიძლება /

/

/

/

/

/
ახლა ეცადე გაიგო, ძმაო. ეცადე გაიგო, თუ შეგიძლია
მთელი ის სამყარო თვალებში /
შემზარავი, მაგრამ ლამაზი /
უზომოდ ლამაზი /
და შიში, უკან რომ მაბრუნებდა /
გემი, ისევ, სამუდამოდ /
პატარა გემი /
ის სამყარო თვალებში, ყოველღამე, ისევდაისევ /
აჩრდილები /
მოკვდები, თუ დანებდი /
ჩასვლის სურვილი /
და თან შიში /
გაგიჟდები, ასე /
გაგიჟდები /
რამე უნდა ქნა და მეც გავაკეთე /
ჯერ წარმოვიდგინე /
მერე გავაკეთე /
ყოველდღე, წლების მანძილზე /
თორმეტი წელი /
მილიარდი წამი /
უხილავი და ნელი ჟესტი /

მე გემიდან ჩასვლა ვერ შევძელი, და თავის გადასარჩენად საკუთარი ცხოვრებიდან ჩავედი. ნაბიჯ-ნაბიჯ. და ყოველი საფეხური ერთი სურვილი იყო. ყოველი ნაბიჯი თითო სურვილი, რომელსაც ვემშვიდობებოდი.

არა ვარ გიჟი, ძმაო. გიჟები არა ვართ, როცა გადარჩენის გზას ვპოულობთ. ფრთხილები ვართ, დამშეული ცხოველებივით. სიგიჟე არაფერ შუაშია. გენიაა ეგ. გეომეტრია. სრულყოფა. სურვილები სულს მაგლეჯდნენ. შემეძლო განმეცადა ისინი, მაგრამ ვერ მოვახერხე.

მაშინ *მოვაჯადოვე* ისინი.

და თითო-თითოდ მოვიტოვე უკან. გეომეტრია. სრულყოფილად შესრულებული სამუშაო. სამყაროს ქალები ერთად მოვაჯადოვე, როცა მთელი ღამე *ერთი* ქალისთვის ვუკრავდი, *ერთადერთი* ქალისთვის, გამჭვირვალე კანი, უსამკაულო ხელები, თხელი ფეხები, თავს არწევდა ჩემს მუსიკაზე, არ გაუღიმია, თვალიც არ დაუხამხამებია, არც ერთხელ, მთელი ღამე, მერე წამოდგა, გავიდა და ყველა ქალი თან გაიყოლა ჩემი ცხოვრებიდან. მამა, რომელიც აღარასოდეს გავხდები, მოვაჯადოვე, ბავშვის სიკვდილს რომ ვუყურე, რამდენიმე დღე გვერდით ვეჯექი, არაფერი გამომპარვია იმ შემზარავი და ლამაზი სანახაობიდან, მინდოდა უკანასკნელი ვყოფილიყავი, რასაც ამქვეყნად ხედავდა, თვალებში მიყურებდა, და რომ წავიდა, მარტო კი არ წავიდა, შვილები, რომლებიც არასოდეს მყოლია, თან გაიყოლა. მიწა, ჩემი კუთვნილი მიწაც მოვაჯადოვე, როცა ჩრდილოელი კაცის სიმღერა მოვისმინე. ვუსმენდი და ვხედავდი, ვხედავდი ხეობას, მთებს, მდორე მდინარეს, ზამთრის თოვლს, მგლებს, ღამეს, და როცა იმ კაცმა სიმღერა დაამთავრა, ის ჩემი სადღაც მყოფი მიწაც სამუდამოდ გაქრა. ყველა ნანატრი მეგობარი მოვაჯადოვე, შენთვის, და შენთან ერთად რომ დავუკარი, იმ საღამოს, იმ სახეში, იმ თვალებში დავინახე ყველა, ყველა მეგობარი, და როცა წახვედი, ისინიც თან გაიყოლე. საოცრებას დავემშვიდობე, როცა სიცხისაგან დამარცხებული ჩრდილოეთის ზღვის ვეებერთელა აისბერგების ჩამოქცევა ვნახე, სასწაულს დავემშვიდობე, როცა ომისაგან განადგურებული მოცინარი ადამიანები ვიხილე, რისხვას დავემშვიდობე, როცა ეს გემი დინამიტით აავსეს, მუსიკას დავემშვიდობე, ჩემს მუსიკას, იმ დღეს, როცა ერთ წამში, ერთ ნოტად დავუკარი ის, და სიხარულს გამოვეთხოვე, ისიც მოვაჯადოვე, როცა შენ აქ შემოხვედი. არაა სიგიჟე, ძმაო. გეომეტრიაა, ოხტატობის ამბავია. უბედურება განვაიარაღე. ჩემი ცხოვრება ჩემსავე სურვილებს გამოვაცალე. რომ შეგეძლოს აღმა აიარო ჩემი ნავალი, სათითაოდ დაგხვდებოდნენ, მონუსხულები, უძრავები, სამუდამოდ ადგილს მიჯაჭვულები, რომ აღბეჭდონ ამ უცნაური გზის მიმართულება, რომელიც შენს გარდა არასოდეს არავისთვის გამინდია /

/
/
/(ნოვეჩენტო კულისებისკენ მიდის)
/
/
/
(ჩერდება, ტრიალდება)

უკვე ვხედავ სცენას, იქ რომ წარვდგები, ეძებს სიაში ჩემს სახელს და ვერ პოულობს.

"როგორ ბრძანეთ, რა გქვიათ?"

"ნოვეჩენტო."

"ნოზინსკი, ნოტარბარტოლო, ნოვალისი, ნოცცა...."

"საქმე იმაშია, რომ გემზე დავიბადე."

"ბატონო?"

"გემზე დავიბადე და გემზევე მოვკვდი, არა მგონია მანდ სიაში ვიყო..."

"გემი დაილუპა?"

"არა. აფეთქდა. ექვსნახევარი ცენტნერი დინამიტი. ბუმ."

"აა.. ახლა ყველაფერი რიგზეა?"

"კი, კი, შესანიშნავად... ისა.... ეს ხელის ამბავია მხოლოდ.... ხელი დაიკარგა... მაგრამ დამპირდნენ..."

"მკლავი გაკლიათ?"

"დიახ. იცით, აფეთქებისას..."

"იქით უნდა მქონდეს ორიოდე... რომელი გაკლიათ?"

"მარცხენა."

"ეჰ."

"ბატონო?"

"იცით, ვშიშობ, ორი მარჯვენა უნდა იყოს."

"ორი მარჯვენა მკლავი?"

"ჰო. ისე, რამე რომ იყოს, გაგიჭირდებოდათ..."

"რა?"

"მინდოდა მეთქვა, ერთი მარჯვენა რომ აგელოთ..."

"მარჯვენა მკლავი მარცხენას ნაცვლად?"

"ჰო."

"რა ვიცი, ისე პრინციპში... არაფერს ისევ მარჯვენა ჯობია...."

"მეც მაგას ვფიქრობ. ერთი წუთი მოიცადეთ, გამოგიტანთ."

"თუ მაინც, რამდენიმე დღეში გამოგივლით, თუ გეჭნებათ ერთი მარცხენა..."

"იცით, ერთი თეთრი მაქვს და ერთი შავი."

"არა არა, ერთ ფერში... არაფერი მაქვს ზანგების საწინააღმდეგო, ეჰ, უბრალოდ..."

ბედი არ გინდა. სამუდამოდ, სამოთხეში, ორი მარჯვენა ხელით. *(მერე ცხვირში ამბობს)* აბა ახლა ერთი კარგი პირჯვარი გადავიწეროთ! *(დააპირებს და ჩერდება. ხელებზე დაიხედავს)* არასოდეს იცი, რომელი იხმარო. *(წამით ფიქრობს, მერე ორივე ხელით სწრაფად გადაიწერს პირჯვარს)* უსასრულოდ, მილიონობით წელი, იდიოტის როლში ყოფნა. *(ისევ გადაიწერს ორი ხელით პირჯვარს)* ჯოჯოხეთი. სამოთხე. რა არის სასაცილო. *(ბრუნდება, კულისებისკენ მიდის, გასვლამდე ერთი ნაბიჯით ადრე ჩერდება და ისევ მაყურებლისკენ ტრიალდება: თვალები უბრჭყვიალებს)*

რა თქმა უნდა.... ოღონდ იცი რომელი მუსიკა... იმ ხელებით, ორი მარჯვენათი... თუკი არსებობს ასეთი პიანინო...

(ისევ სერიოზული ხდება)

დინამიტია ეგ, ზედ რომ აზიხარ, ძამიკო. ადექი მაქედან და წადი. დამთავრდა. ამჯერად მართლა დამთავრდა.

(ვადის)

* *დასასრული* *